cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: WWW.SAKRESP.GE

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბოჭდეული სიფცვაა, ფაუიღებით და ჭიანებით ბუმთის გაფანა ყველა უკარისიბებზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 7 იანვარი. 2016 წ. №3 (7895), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქრისტეშობას გილოცავთ!

დღესასწაულთა დღესასწაული

7 იანვარს მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას.

ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის აღთქმის დარღვევის გზით სამოთხიდან განიდევნენ, ისიც საგულისხმოა, რომ უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმოწყალებით, დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო.

აღთქმაში იყო წინასწარმეტყველება ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ: „თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა“.

იაკობმა (პატრიარქი) იწინასწარმეტყველა, რომ იუდას ტომი დაკარგავდა სკიპტრას, ხოლო დანიელ წინასწარმეტყველმა გვაუწყა, რომ ქრისტეს მეუფება დადგება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სამეფო მყარი, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დაარღვევს და დააქცევს, და რომ ქვეყნიერების მსხნელი იერუსალიმის აღდგენის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან სამოცდაათი შვიდეულის შემდეგ მოევლინება.

ცნობილია, რომ რომმა თავისი რკინის ხელი იმ დროისთვის არსებულ თითქმის ყველა ქვეყანას გადააწვდინა და ერთ იმპერიად გააერთიანა. პალესტინა კი რომის პროვინცია გახდა.

სწორედ ამ დროისთვის გამოვიდა ავგუსტუს კეისრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც მის მიწაზე და მათ შორის იუდეაშიც ხალხის აღწერა უნდა ჩატარებულიყო. ამ ბრძანების ძალით ყველა ისრაელიანი თავისი მშობლიური ქალაქისკენ ისწრაფოდა, რათა სახელმწიფო აღწერაში მოხვედრილიყო.

რა საოცარია ღვთაებრივი განგებულების საქმე!

თავისი ამქვეყნიური დიდებით გაამაყებული კეისარი უფლის ნების ბრმა იარაღად გვევლინება, ღვთის განზრახვას ემსახურება.

ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს ბეთლემისკენ. ბეთლემში კი იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად იწოდებოდა... ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებლად ადგილი ვერ იპოვეს... წმინდა მგზავრებმა თავი შეაფარეს ბეთლემიდან შორს მდებარე, ჩრდილოეთით კლდეებს შორის გამოქვაბულს.

ისაია წინასწარმეტყველის სიტყვები აღესრულა: „აი, ვინ დაივანებს მაღალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

ქალწულმა მარიამმა ამ მყარ კლდეებში შუაღამისას წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიაწვინა იგი ბაგასა“.

...როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა, მიაწვინა იგი ბაგაში და პირველმა სცა თაყვანი მას. ასევე მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმიდა დედასა და მის ძეს — ჩვენს ღმერთს.

სრულიად საქართველოს ვულოცავთ იმ წმინდა ღამეს, იმ წმინდა ადგილას მომხდარი სასწაულის — იესო ქრისტეს ხორციელად შობას!

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით!

მოსკოვიდან გვილოცავენ

ძვირფასო მეგობრებო! სულითა და გულით გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს! გუშინ ვიხილე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის პირველი ნომერი ახალი რედაქტორის ხელმოწერით, რამაც უსაზღვროდ გამახარა! შობა-ახალ წელს ვულოცავ რედაქციის მთელ, მაღალკვალიფიციურ და მაღალპროფესიულ შემადგენლობას, უწინარესად, ჩვენს ძვირფას კოლეგებს — პასუხისმგებელ რედაქტორებს და მდივანს!

ძვირფასო კოლეგებო! მინდა გაცნობოთ, რომ თქვენი გაზეთი ძალიან პოპულარულია მოსკოვში, მის ელექტრონულ ვერსიას აქ მცხოვრები ქართველები ინტერესით ეცნობიან! იდღეგრძელეთ და იღვაწეთ ქართველი მკითხველის გასახარად!

პატივისცემით,
ბეჟან ნამიჭეიშვილი,
მწერალი და დიპლომატი, მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო ელჩი

რესპუბლიკის მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრამდე

7 იანვარს, 14:00 საათზე, საშობაო საზეიმო მსვლელობა „ალილო“ რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყება და რუსთაველის გამზირისა და ბარათაშვილის აღმართის გავლით დასრულდება სამების საკათედრო ტაძარში.

რუსთაველის გამზირზე დღესასწაულს უერთდებიან პარლამენტის თავმჯდომარე, ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე თანხმლებ პირებთან ერთად. „ალილოს“ მონაწილეებს და მოსახლეობას აქვთ საშუალება, შეწირონ ძღვენი (ტკბილეული, ტანსაცმელი და ა.შ.), რომელიც შემდეგ დახარისხდება და 10 იანვარს დაურიგდებათ ბავშვთა სახლებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებს და მოხუცთა თავშესაფრებს.

დღესასწაულის მოწყობის ტრადიცია 2000 წელს აღდგა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით. მსვლელობაში მონაწილეობს ქალაქ თბილისის მოსახლეობა, მრევლი და სამღვდელოება.

ლია სტურუა:

მთავარია, ერს სული არ ამოართვან!..

„რად უწოდებენ საქართველოს ზოეტთა მხარეს?“

3

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.416; ევრო - 2.601;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.546;
100 რუბლი - 2.29; თურქული ლირა - 0.809;
აზერბაიჯანული მანათი - 1.581;
1000 სომხური დრამი - 5.006

ამინდი 7 იანვრისთვის
აღმოსავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +9
დასავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +9
თბილისი: ღამე +2, დღე +12

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

„გერმანია დარჩება საქართველოს სანდო პარტნიორად“

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, ანგელა მერკელი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს.

მისალოცწერილში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო, ანგელა მერკელი ასევე მიესალმება ევროკომისიის მოხსენებას, საქართველოს მიერ ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ის, საქართველოს მთავრობისთვის, რეფორმების გაგრძელების მოტივაცია უნდა გახდეს.

„დარწმუნებული ვარ, ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის მომავალშიც დადებითი მიმართულებით განვითარდება. გერმანია დარჩება საქართველოს სანდო პარტნიორად თქვენი ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების გზაზე. გისურვებთ წარმატებებს თქვენი საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებაში. მოხარული ვიქნები, თუ მალე ბერლინში გიხილავთ“, — ნათქვამია ანგელა მერკელის მილოცვის წერილში.

პრემიერები და ელჩები იცვლებიან, დაპირებები იგივე რჩება

გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში იან კელისთან პირველი შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების ფართო სპექტრი და ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხები. ხაზი გაესვა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებს და გამოითქვა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების იმედი.

საუბარი ასევე შეეხო მდგომარეობას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში. ყურადღება გაამახვილა საქართველოში და ზოგადად რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე.

იან კელიმ წარმატებები უსურვა გიორგი კვირიკაშვილს და აღნიშნა, რომ აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგს და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

ამერიკის ელჩის განცხადებით, გაგრძელდება ღრმა და ფართო თანამშრომლობა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან.

ღმერთმა გვიმრავლოს!!!

გასული წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოში 55 ათასამდე ახალშობილი დაიბადა.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ თავმჯდომარემ თამარ ჩიბურდანიძემ პრესკონფერენციაზე მიაწოდა.

მისი თქმით, შესაბამისი ინფორმაცია სამშობიარო სახლებიდან არის მიღებული.

როგორც ჩიბურდანიძე ამბობს, სტატისტიკის დეპარტამენტი სრულ მონაცემებს, 2015 წლის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს თებერვლის თვეში გამოაქვეყნებს.

მისი ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი 2014 წლის 11 თვის მაჩვენებელს 400 ერთეულით აღემატება.

მისივე თქმით, შემცირებულია როგორც გარდაცვლილი ახალშობილების, ისე აბორტების შემთხვევების რაოდენობა.

◎ კაკალ გულში

რატი, უარესი რომ არ მიირთვა, ჭამე რა გოზინაყი!..

● კონფორმიზმის უსაზიზღრესი ფორმა. გვაჩვენა, თუ როგორი არ უნდა იყოს არა მხოლოდ პოეტი, არამედ გვაჩვენა, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი.

მან თავის თავზე აიღო იმ ბერძენი მონის მისია, რომელსაც ათრობდნენ და შემდეგ ბავშვებს აჩვენებდნენ, რათა მათ ენახათ, თუ რა ცუდია სიმთვრალე.

გაუმარჯოს ქართველ მონას — რატი ამაღლობელს!

● რატი, უარესი რომ არ მიირთვა, ჭამე რა გოზინაყი, ახალი წლის დღეებია!

● არასამთავრობო ორგანიზაცია „ზამთრის დაცვის კავშირმა“ 27 ფიფქი გადაარჩინა გადნობას და სპეციალურ საყინულეში გადაიტანა — ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ, ისინი ალპურ ზონაში დაიდებენ ბინას...

● დიდი ეკლესიურობით არ გამოვირჩევი, საერთოდ ვცდილობ, გვერდი ავუარო ამ თემებს — არ ვთვლი, რომ ჩემი საქმეა და თუ ვინმეს რამე პრეტენზია აქვს, მხოლოდ სახელმწიფოს მიმართ შეიძლება ჰქონდეს... უბრალოდ, ერთი კანონზომიერება მომხვდა თვალში — ნებისმიერი „ბიტავოი“ პრობლემის გამოჩენისთანავე, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები უნდა აგვარებდნენ, საპატრიარქოსკენ იშვერს ხელს ზუსტად ის ხალხი, ვინც ასევე აპროტესტებს სახელმწიფოს ცხოვრებაში ეკლესიის ჩარევას... „ჯკ მინიმუმ, სტრანნო“ — არა? ან ასე ქენი, ან ისე, ან შეეშვი საერთოდ....

● შევადგენ „გაბრწყინებული საქართველოს“ საპარლამენტო სიას და დავწერ აშენებული ქვეყნის განვითრების სრულ დეკლარაციას, სწრაფად, იაფად და ხარისხიანად.. მსურველებმა დარეკეთ 5 41 5 41, იკითხეთ ლავრენტი მესია.

● რატოა საქართველოში ყველა „ზოლუშკა“ 40 წლის და ყველა ფერია 60-ის? ნუ მათი დაქალები „უფას დომიდან“ გამოვარდნილებს რატომ გვანან და საერთოდ რატომ არ ექცევა თეატრალურში თუ თეატრებში მსახიობის გარეგნობას ყურადღება?

● მაინც უნდა ვთქვა, დაე ჩამქოლონ! — უხდება ამ დალოცვილ თბილისს ასეთი ქუჩები და თბილისელები და რა გავაკეთო, რაა...

● დღეს საქართველოს ბანკში ვიყავი...ძალიან მარტივი საბანკო ოპერაცია მქონდა შესასრულებელი... 5 მოლარე-ოპერატორის ნაცვლად მუშაობდა 2 (და ეს პირველი შემთხვევა არ არის...ყოველთვის ეგრეა!), ხალხი უამრავი... ყველა თავიანთ რიგით ნომერს დამუნჯებული ელოდებოდა.... ცხვრებივით!

ისევ მე გამოვედი სიტყვით... ხმამაღლა ვკითხე ოპერატორს: დანარჩენები სად არიან?! — არ არიან!.. გაისმა მოკლე და კონკრეტული პასუხი...

უკმაყოფილება გამოვთქვი - რატომ არღვევთ ჩვენს უფლებებს? რატომ გვაკარგვინებთ ამდენ დროს? კადრებზე ეკონომიის გამო?

ჰოი საოცრებავ.... ხალხმაც ხმა ამოიღო... ამყვნენ! გაიმართა მინიმიტინგი.

არაფერი შეცვლილა. ამჯერად, ისევ 2 ოპერატორი აგრძელებდა მომსახურებას... მაგრამ თუკი მსგავსი მოთხოვნები და პრეტენზიები მომხმარებლის მხრიდან ხშირად გაჟღერდება, ეგებ გვეშველოს. ეს ფრაზა დავაგდე და მიტინგი „დახურულად “ გამოვაცხადე! არც ისე ამაყად დავტოვე ბანკის ტერიტორია!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

თოვას წვიმა მოჰყვა, გზებზე შეზღუდვები გრძელდება

საძართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისათვის თოვლის, ლიპყინულისა და მდინარის ადიდების გამო, მოძრაობის სპეციალური რეჟიმები დაწესებულია სამ საავტომობლო გზაზე.

მთელი ღამის განმავლობაში ძლიერი წვიმისა და ინტენსიური თოვის გამო საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის 2 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობაზე სპეციალური რეჟიმი დაწესდა. აღნიშნული გზის 206-ე კმ-ზე მდინარე ჩხარას ადიდების შედეგად დაზიანდა დროებითი შემოვლითი გზა, რის გამოც აიკრძალა ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ავტოტრანსპორტის ნაკადები გადართულია ზესტაფონი-ბაღდათი-ქუთაისის საავტომობილო გზაზე. აღნიშნული მიმართულებით მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის კმ55-კმ152 (იგოეთი-ხევი) მონაკვეთზე, ინტენსიური თოვის გამო, აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის არაგვისპირი-ლარსის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის(ფოსტას) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო არაგვისპირი-მლეთისა და კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მთელ გზაზე თავისუფალია.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ37-კმ71 (ტყიბული-ამბროლაური) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ37-კმ50 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო კმ50-კმ71 მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მთელ გზაზე თავისუფალია.

რთული მეტეოროლოგიური პირობების — ზვავსაშიშროების, ინტენსიური თოვის, ქარბუქისა და შეზღუდული ხილვადობის გამო, მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოძრაობა აიკრძალა 4 საავტომობილო გზაზე:

ინტენსიური თოვისა და ზვავსაშიშროების გამო, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის ჯვარი-ხაიშის მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ამავე გზის ხაიში-უშგულის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა ხაიში-უშგულის მონაკვეთზე თავისუფალია.

ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია: კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის როდიონოვკა-ნინოწმინდას მონაკვეთზე, ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის საზღვრის“) საავტომობილო „ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის“ მონაკვეთზე და ახალქალაქი-კარწახის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ20-კმ30 მონაკვეთზე.

* * *

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი აბონენტების რიცხვი 1500-მდე შემცირდა. გუშინ დილით ეს ციფრი 8 ათას აბონენტს აღწევდა. ელექტროენერგიის გარეშე ჩხოროწყუს, ზუგდიდის და წალენჯიხის მაღალმთიანი სოფლების რამდენიმე უბანია დარჩენილი. სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობას „ენერგო-პრო ჯორჯიას“ როგორც ადგილობრივი ისე დამატებითი ჯგუფები მიიღებენ მონაწილეობას. კომპანიის წარმოამდგენლების განცხადებით, კი დღეს ელექტროენერგიის მიწოდება ყველა გამორთულ აბონენტს აღუდგება.

რეგიონში გაზმომარაგებასთან დაკავშირებით პრობლემები არა არის, პრობლემა რაც ზუგდიდში იყო, აღმოფხვრილია.

დიდთოვლობის გამო დაზიანებული 20 ოჯახს ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირველადი დახმარება გაუწია. დაზარალებულები უსაფრთხო ადგილას იმყოფებიან, მიყენებულ ზარალს კომისია სწავლობს, მოხდება ზიანის ანაზღაურება.

ამ დროისთვის რეგიონის ყველა ცენტრალური გზა გაწმენდილია, ასევე გაწმენდილია სოფლამდე მისასვლელი გზები. გუშინ დღის განმავლობაში იწმინდებოდა და დღეს განახლდება გაწმენდითი სამუშაოები სოფლის შიდა გზებზე. კვლავ ნაწილობრივაა შეზღუდული მოძრაობა ჯვარი-მესტიის გზაზე, სადაც გაწმენდით სამუშაოებს ინტენსიურად აწარმოებს რამდენიმე ერთეული სპეცტექნიკა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორის დავალებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.

„რად უწოდებენ საქართველოს პოეტთა მხარეს?“

ჩემთვის ყველაფერი „ცოცხალი წიგნებით“ დაიწყო. ჯერ წიგნი, მერე პოეზია და თან ცოცხალი. თითქოს, გაბრტყელებულ, ორგანზომილებიან გარემოში ჰაერი შეუშვეს და მოცულობა დაუბრუნეს, სივრცედ აქციეს.

კი, იყო დრო, როცა ფილარმონიის დარბაზიც კი ივსებოდა პოეზიის საღამოებზე, მაგრამ ახლა, თუ პაბსას, მდარე ანეკდოტების, პოლიტიკური შეხლა-შემოხლის მოლოდინი არ არის, პოეზიის საღამოზე შეიძლება ათნახევარი კაცი მოვიდეს და რას უშვრები ამ სტრიქონებს?

„და წავიდა ივლისი
და მოვიდა, წამებო,
შფოთიანი თბილისი
პოეზიის სამეფო“.

ან

„დადის ქალაქში სხვისი მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: – ეს კაცია ლექსის მწერალი“.

მერე ეს „ლექსის მწერალი“ დადგება რუსთაველზე, ხელს გაიწვდის და ნაცნობ მათხოვარს ერთი წლის სამყოფ ფულს შეუგროვებს.

ახლა? ტელევიზიიდან პოეზიის ხუთი წუთიც კი მოაშორეს: ზოგჯერ, როცა ტელევიზორისთვის მოვიცლი და ტვინში ვარდისფერი მატლების გამჩენი სერიალიდან რუსეთის „კულტურის“ არხზე, ან „პლანეტაზე“ გადავრთავ, შევხედავ როგორ კითხულობენ ლექსებს მსახიობები, ვთქვათ, „ვერცხლის საუკუნის“ პოეტებით დაწყებული, მაიაკოვსკით დამთავრებული, თან ბურლიუკი და ხლებნიკოვი არ ავიწყდებათ, გავშუდები მთელი ერთი საათით. რამხელა ამბავია ამდენი დრო დაუთმონ პოეზიას! და როცა აღმოჩნდება, რომ ეს სატელევიზიო გადაცემა კი არ არის, არამედ ტრანსლაცია, რომელიღაც დიდი, გადავსებული დარბაზიდან, გულაჩუყება კი არ მჩვევია, მაგრამ ტირილი მომინდება ხოლმე.

და ასეთი საჩუქარი „ცოცხალი წიგნები“ (ქეთინო დუმბაძის პროექტი კულტურის სამინისტროს ეგიდით)! მთელი საქართველო მოიარეს, დაამტკიცეს, რომ პოეზია ყოველთვის საჭირო. ადამიანს ტვინში ბევრი უმოქმედო მონაკვეთი კი აქვს, მაგრამ სიტყვით თუ შესძარი, შეიძლება, კაშკაშიც დააწყებინო.

მთავარია, ერს სული არ ამოართვან, რომ ეთნიკურ ჯგუფად არ ვიქცეთ, კულტურის გარეშე, რასაც ვერც ამერიკა უშველის, ვერც ევროპა და ვერც ევრაზია.

და როცა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა, რომ რუსთაველის თეატრში გამოავლენს საუკეთესოებს, სიხარულით წავედი. დაჯილდოვდნენ მეურნეები, მეცნიერები, პროექტი „ცოცხალი წიგნები“, როგორც წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლიტერატურის დარგში.

და ბოლოს, ამ საღამოს კულმინაცია – ბიძინა ივანიშვილმა ფიროსმანი რომ იყიდა და აჩუქა საქართველოს.

მე კომპიუტერთან ურთიერთობა არა მაქვს, ტელევიზიიდან ვიცოდი ეს ამბავი. უფრო სწორად, კონსტატაცია ამ ფაქტის. მაგრამ აღფრთოვანება? არ მიყვარს პათოსური სიტყვები, თუმცა ეს სწორედ ის უიშვიათესი მომენტია, როცა **„პათოსს ძახილის ნიშნები არ უნდა დააგლიჯო“** (ჩემი ლექსიდან).

ადამიანმა, შენმა თანამედროვემ, ქართული კულტურისთვის ასეთი დაუფასებელი საქმე გააკეთა და ვითომ, დიდი არაფერი? თან ლოზუნგით: რა დროს ხელოვნებაა!

ხელოვნების დრო სულ არის. მეორე მსოფლიო ომის დროს ლენინგრადის ბლოკადაში უამრავი ხალხი დაიღუპა, მაგრამ პეტერგოფი გადაარჩინეს და საკონცერტო დარბაზში დ. შოსტაკოვიჩის „ლენინგრადის სიმფონია“ სრულდებოდა. ან რამდენი ხალხი შეეწირა საფრანგეთის „წინააღმდეგობის მოძრაობას“, მაგრამ პარიზის „გაქვავებული მუსიკა“ არ დაინგრა.

გატონი ბიძინა ივანიშვილი 20 წელზე მეტია, რაც მფარველობს ქართულ ხელოვნებას, თბილისში ყველა თეატრის არსებობა მისი დამსახურებაა, სამების ეკლესია, შიმშილით სიკვდილს გადარჩენილი ადამიანები. – რატომ მე არაო? იტყვის ქუჩაში რომელიმე გამვლელი. ადამიანი ღმერთი არ არის, რომ ორი ვურით და ხუთი თევზით მთელი ქვეყანა გააძღოს, აი მილიონები რომ ჩადო სოფლის მეურნეობაში, ესეც შედეგს გამოიღებს თავის დროზე.

ლია სტურუა:

მთავარია, ერს სული არ ამოართვან!..

მთავარია, ერს სული არ ამოართვან, რომ ეთნიკურ ჯგუფად არ ვიქცეთ, კულტურის გარეშე, რასაც ვერც ამერიკა უშველის, ვერც ევროპა და ვერც ევრაზია.

ხომ ვიცით, ფიროსმანი როგორც ცხოვრობდა, როგორ შიოდა და კიბის ქვეშ როგორ მოკვდა, რა იოლი და უმწეო ოცნება ჰქონდა, სულ მარტოხელას, განაპირებულს:

– დავდგათ სამოვარი მაგიდაზე, შემოვუსხდეთ გარშემო და მხატვრობაზე ვილაპარაკოთო, და რა უცხო იქნებოდა სოტბის აუქციონზე თავის მთასთან ერთად!

ეტყობა, სულ ჰქონდა გაუცხოების შიში, თორემ თბილისის ვიწრო ქუჩებში ჟირაფს რა დაახატვინებდა? ან, იქნებ, ცა დაადაბლებინა ვიზუალურად და ჭერად აქცია. ცისქვეშ არ ცხოვრობდა და მოკვდა?

იაპონელი მისიმა ამბობს: ცხოვრებაში რეალისტი ვარ, შემოქმედებაში – მისტიკოსი. იქნებ, ძლიერ ქარს შეუძლია მისტიკის მარცვლები ცხოვრებაშიც გადმოიტანოს?

თუ ასეა, ერთი სამოვრიანი მაგიდა დაიდგმება ნიკალასთვის საიქიოში.

ჩვენთვის რა? გახსენება კიდევ ერთხელ ნიკო ლორთქიფანიძის, რომ გვერი უძველესი და კულტურული ერი გადაშენდა, მაგრამ ჩვენ გადავრჩით, რადგან მეომრებიც ვიყავით, ვაჭრებიც და ხელოვნების კულტის მსახურნიც.

ერის იდენტობაზე იმდენს ვლაპარაკობთ, ლამის, გავაგრტყელოთ ეს სიტყვა და მისგან ტკბილი ცომი მოვზილოთ. ბოლო პუნქტი რატომ გვავიწყდება ნ. ლორთქიფანიძის ჩამონათვალიდან?

ბიძინა ივანიშვილი მეასედ თუ მეათასედ გვახსენებს ამას. დიდი მადლობა მას თანაგრძნობისთვის, თანადგომისთვის ქვეყნისა და ჩვენ მიმართ, ვისაც სულ გვახსოვს გ. ტაბიძის რიტორიკული შეკითხვა: „რად უწოდებენ საქართველოს პოეტთა მხარეს?“ და იქვე, თითქოს, პასუხი (აი, სად არის მისტიკა) პოლ ვალერის: **„ავუგოთ ტაძარი ყველა შეკითხვას!“** ტაძრის აშენება, ვირტუალურისაც კი, ალბათ, მთავარი ნაგიჯია გადარჩენისკენ.

ოჯახი. ელგუჯა და ეკა ამაშუკელები და ლია სტურუა.

ახალი წელი

თაფლით ეწებებიან ერთმანეთს,
თუ რას ნიშნავს
ეს აღორძინებული სიყვარული,
რომელიც ხვალვე მოვალეობაში გადავა?
ერთი დღე-ღამე უნდა მოითმინო
არამხატვრული ტყუილი, სენტიმენტები,
მჟავე მანდარინი, რომელიც
გარედან ნარინჯისფერია,
ალბათ, ზღვისპირელების სისხლისაგან...
ჩემი ჰავა, – ისეთი მშრალი,
თითქოს კვერცხისგულების
დიეტაზე მამყოფებს, – არ ცნობს
ასეთ ამომხტარ ფერებს,
რა ქნას?
ზამთრის სიხარულს სხვებისგან სესხულობს,
ფუფუნების კანონების მცოდნეებისაგან,
თუმცა რაღაც თავისიც მოსდევს:
ატლასის ბროწეულები, ვაშლები, რომლებიც
ხეებს კი არ ასხია, ბავშვებს ახატიათ ზაფხულობით.
ზაფხული – აი, ნამდვილი მონატრება,
გინდა ახალ წელს, გინდა მერე,
შენელებული მგრძნობიარობის დროს...
იქამდე მიმაღწევინა
და როცა ბალახზე ჩამოვჯდები,
თვალებიდან ხის კენწეროებს
ნუ ამომაცლი, ღმერთო!

ლია სტურუა

◎ ამერ-იმერი

პრეზიდენტის კონსულტაციები ახალი კანდიდატის წარსადგენად

პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატის შერჩევის საკითხზე კონსულტაციებს აგრძელებს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით იგი უძღვება ეროვნული ბანკის უფლებამონაცვლის შერჩევის ღია პროცესს, რომლის ფარგლებში კონსულტაციები მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დარგის ექსპერტებთან, ბიზნესასოციაციებთან და საბანკო სექტორთან.

„ეს არ არის პირველი პრეცედენტი, როცა პრეზიდენტი მარგველაშვილი კანდიდატის წარდგენის წინ ფართო კონსულტაციებს მიმართავს. ამგვარი პროცესი უძღოდა წინ მის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ნინო გვენეტაძის წარდგენასაც“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის თებერვალში ეწურება. კანონმდებლობის მიხედვით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტი ასარჩევად წარუდგენს პარლამენტს და შემდეგ უკვე, საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს.

საბჭოს წევრები ხელფასს ითხოვენ, მაგრამ რისთვის?

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური და მისი პირველი მოადგილე ნოდარ ებანოიძე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს თავმჯდომარეს კონსტანტინე სულამანიძესა და საბჭოს თავმჯდომარეს ირაკლი კოვზანაძეს შესდვნენ.

როგორც მეჭიაურმა განაცხადა, საფინანსო ზედამხედველობის საბჭოს წევრებს ხელფასი ამ დრომდე არ აუღიათ.

„ისინი მოსული იყვნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი დღემდე ხელფასს არ იღებენ. მათ პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადება ჰქონდათ შემოტანილი, რომ მან მათ სარგოს ის ოდენობა განუსაზღვროს, რომელიც აღნიშნული კანონის მიხედვით ეკუთვნით“, — აცხადებს მეჭიაური.

დეპუტატი ვერ აკონკრეტებს, საბჭოს წევრებმა თუ რა სამუშაო გასწიეს.

„ფაქტიურად, სააგენტოს მუშაობა დაწყებულია. მან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მუშაობა რაღაც ნაწილში შეაჩერა. რაც შეეხება მათ მიერ გაწეულ სამუშაოებს, ამ საკითხებზე მათ მოკითხეთ“, — დასძინა მეჭიაურმა.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ ფინანსები: იქნებ გამოგადგეთ ჩვენი რჩევა?

ძვირფასიანი „სიურპრიზები“

ბოლო ხანს მომხმარებლებისა და კომბანკების ურთიერთობა სულ უფრო მეტად ემსგავსება არა ორი თანაბარი პარტნიორის საქმიან ურთიერთობას, არამედ, ერთგვარად იმას, უწინ შარაგზებზე ყაჩაღები რომ მშვიდობიან მგზავრებს ძარცვავდნენ. ამის მიზეზი, ძალიან ხშირად, ისაა, რომ მომხმარებლებს ნაკლებად, ანდა, სულაც, არა აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რა ღირს ამა თუ იმ საბანკო პროდუქტით სარგებლობა.

ამდენად, ვფიქრობთ, მკითხველებს დააინტერესებთ ზოგიერთი რჩევა, რომელსაც თიბისი ბანკის პროექტის „ჩემი ფინანსების“ ავტორი და პირადი ფინანსების მართვის ექსპერტი ლევან დიასამიძე იძლევა.



● ხშირად, კომერციული ბანკიდან სესხის აღებისას, მომხმარებლები ყურადღებას მხოლოდ წლიურ საპროცენტო განაკვეთს აქცევენ არადა, რეალურად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, თითოეულ მევალეს ყოველთვიურად უფრო მეტი თანხის გადახდა უწევს.

რჩევა: აუცილებლად უნდა დაადგინოთ თქვენი სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, რადგან ყველა ხარჯი, რომელიც სესხის აღებას ახლავს, სწორედ ეფექტური პროცენტით იანგარიშება, მათ შორისაა, სესხის გაცემის და მომსახურების საკომისიოები, მისი დაზღვევის თანხა და სხვ. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა მსესხებლის სასესხო ხელშეკრულებაშია მითითებული, ამიტომ მას დაკვირვებით უნდა გაეცნოთ და, ამდენად, სესხის აღების შემთხვევაში, ყველა სავარაუდო ხარჯის შესახებ სრულიად იქნებით ინფორმირებული. ყველაფერ ამის გაკეთებას წინასწარ გირჩევთ, ვიდრე ბანკს შეარჩევდეთ, რომლისგანაც ფულს ისესხებთ.

● ბევრჯერ არის ხოლმე, რომ ბანკში მოსულ მომხმარებელს, რომელიც აღარც იქაურ ანგარიშს იყენებს და აღარც ბარათს, მასზე დარიცხულ თანხას და წარმოშობილ დავალიანებას აღმოაჩენს.

რჩევა: საქმე ისაა, რომ, რაკი საკუთარი ანგარიში არ დაგიხურავთ, ბანკის აზრით, ამ პროდუქტით კვლავაც სარგებლობთ და, შესაბამისად, დავალიანების წარმოშობის წყაროც ეს არის. ამიტომ, როგორც გადაწყვეტთ, რომ კონკრეტული ბარათი ან ანგარიში აღარ გჭირდებათ, უმჯობესია ერთი ან მეორე (ანდა ორივე ერთად) დახუროთ, ანუ თქვენი ეს გადაწყვეტილება ბანკს შეატყობინოთ. ანალოგიურად უნდა მოიქცეთ გამოუყენებელი ინტერნეტ-ბანკის ან სმს-სერვისის ფლობის შემთხვევაშიც.

● ვთქვათ, სადებეტო ბარათზე ძირითად ვალუტად ლარი გაქვთ მითითებული, ანგარიშსწორებისა კი — რომელიმე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, ანდა მისი ბანკომატიდან გატანა გინდათ. ამ დროს თქვენი ანგარიშიდან კონვერტირების საკომისიო თანხა ჩამოიჭრება.

რჩევა: სადებეტო ბარათის პრიორიტეტად ის ვალუტა უნდა მიუთითოთ, რომელსაც ძირითადი ანგარიშსწორების დროს იყენებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონვერტირების მომსახურების საკომისიოს გადახდა მოგიწევთ. ასეთ ვითარებაში ორი გზაა: ერთი — შეგიძლიათ იქონიოთ ბარათი, რომელზეც თქვენი პრიორიტეტული ვალუტა იქნება მითითებული, ან თქვენს ბარათს პრიორიტეტი დროებით შეუცვალოთ. ამ უკანასკნელის გაკეთება მაშინაა უმჯობესი, თუ საზღვარგარეთ მიემგზავრებით და გარკვეული დროის მანძილზე ანგარიშსწორება სხვა ვალუტით მოგიწევთ.

● სადებეტო ბარათზე პრიორიტეტულ ვალუტად ლარი გაქვთ მითითებული, ბანკომატიდან კი დოლარის გატანა გინდათ. ამ დროს თანხის კონვერტაცია კომბანკის მიერ დადგენილი კურსით მოგიწევთ, რომელიც, როგორც წესი, ვალუტის გამცვლელ პუნქტებთან შედარებით უფრო მაღალია.

რჩევა: თუ ზედმეტი ხარჯის განევას ერიდებით, უმჯობესია, ბანკომატიდან თანხა ლარებით გამოტანოთ, ვალუტა კი გაცვლის ჯიხურში შეიძინოთ.

● სამსახურისა და, შესაბამისად, ხელფასის დაკარგვის შემთხვევაში, ბანკის ვალწამოკიდებული კაცი სასოწარკვეთაში რომ ჩავარდეს, გასაკვირი სულაც არ არის, არადა, თურმე ამ მეტად უსიამოვნო ამბის უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილება სავსებით ადვილად შეიძლება.

რჩევა: საამისოდ შეგიძლიათ სესხის გადახდის პასუხისმგებლობის დაზღვევა, რისთვისაც სადაზღვევო კომპანიას

◎ მოგატყუე, მოგატყუებ...

დაგვიბრუნეთ ობლიგაციების ვალი!

წინასაახალწლო დღეებში, პრესას რომ ვათვალიერებდი, გაზეთ „ახალი თაობის“ ფურცლებზე ამჟამინდელი და წინა მთავრობების უპასუხისმგებლობისა თუ უთავმოყვარეობის კიდევ ერთ „დამალხინებელ“ ფაქტს გადავაწყდი. ამ ჩვენი გამოჩენილი, სანაქებო მინისტრის — პაატა ზაქარეიშვილის მამას, 84 წლის ქართლოს ზაქარეიშვილს თურმე წლების მანძილზე „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებულ საქართველოში სამართალი რომ ვერ უპოვნია, ამდგარა და სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეუტანია.

ვინ ან რას უჩივის, არ იკითხავთ? ცხოვრებისგან მრავალნატანჯი ბერიკაცი სახელმწიფოსგან იმ ვალის დაბრუნებას მოითხოვს, რომელიც 1992 წელს ობლიგაციების სახით სახელმწიფოს გადასცა. როგორც ქართლოს ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სახელმწიფოს მისი 30.634 დოლარი მართებს.

— როგორც ჩემი ქვეყნის მოქალაქე, ღვაწლმოსილი, 84 წლის მოხუცი, ავადმყოფი კაცი, ვითხოვ ვალის დაბრუნებას. ის ხომ ჩემი საკუთრება იყო, — ამბობს ზაქარეიშვილი, — რომელიც ხელფასიდან დანაზოგით შევაგროვე და 1992 წელს ვასესხე ხელისუფლებას.

ასეთი რამ საქართველოში არცთუ იშვიათად ხდებოდა. მთავრობას რა ენაღვლებოდა, დღეს ობლიგაციას გამოუშვებდა, ხვალ იქიდან მიღებულ თანხას „გაასუხარებდა“, ზეგ საერთოდ აითესებოდა (აკი ასეც მოხდა, ოღონდ არჩევნების გზით) და პასუხს არაფერზე აგებდა. მაგრამ რა ქნას იმ ხალხმა, რომელიც ყოფილ ხელისუფალთა დანაშაულებრივმა, ყაჩაღურმა ქმედებამ კუდის რიკამდე გაატყავა? ამ კითხვის დასმის უფლებას იძლევა ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, კერძოდ, 1992 წლის ოქტომბერში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიერ 10 წლის ვადით გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხი, რომლის არსებობა არც გუშინდელ და არც დღევანდელ ხელისუფალთ, რბილად რომ ვთქვათ, ალბათ, აღარ ახსოვთ.

სამაგიეროდ მთავრობის მიერ მოტყუებულ ხალხს მშვენივრად ახსოვს მაშინდელი სესხის პირობები, რომლის თანახმად 10-წლიან ვადაში უნდა გამართულიყო მოგებათა ტირაჟები, სადაც მოგებას უნდა შეედგინა სასესხო თანხის 35 პროცენტი, ხოლო სესხის ვადის გასვლის შემდეგ დარჩენილი ობლიგაციები უნდა შესყიდულიყო მათი ნომინალური ღირებულებით. გათამაშება სულ 2-3-ჯერ თუ გაიმართა, მოუგებელი ობლიგაციების ღირებულება კი ფინანსთა სამინისტროს დღემდე არ გაუცია!?

2003 წელს სააკაშვილმა ვითომ წამოიწყო კამპანია, რომ ეს თანხა უწინარესად გაიცემოდა მოხუცებზე, ინვალიდებზე, სოციალურად შეჭირვებულებზე, მაგრამ, როგორც სჩვეოდა, ამჯერადაც იაფერისტა, მოიხსნა ეს ვალდებულება და თანხა დაურიგა მხოლოდ მის ფავორიტებს.

სააკაშვილს აფერისტობა-მაქინაციებით გაჰქონდა თავი, მაგრამ მომდევნო ხელისუფალთაც ხომ უნდა ეღონათ რამე, რომ პასუხისმგებლობისგან თავი დაეძვრინათ? ჰოდა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ადგნენ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის საფუძველზე, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, ვალის გასტუმრება 2010 წლის 16 მარტამდე გადაავადეს(!).

აი ასე, დღევანდელებმა თავსატეხი სახვალიო ხელისუფალთ გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ვალს იოლად გაისტურებთო. თქვენ კი, ოთხმოცს თუ ოთხმოცდაათს გადაცილებულო მესაკუთრეებო, მუთაქებში გადანახულ ობლიგაციებთან ერთად ჯანსაც გაუფრთხილდით, ჩინურ-ინდური წამლები არ მოიკლოთ და 15 წლის შემდეგ თანხას უკლებლივ მოგითვლითო.

ამ ამბავმა უნებლიეთ გამახსენა „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ სამი წლის წინათ გამოქვეყნებული წერილი

გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოთ იმაში, რომ ექვსი თვის მანძილზე თქვენს სესხს ის მოემსახურება, ანუ თქვენს ყოველთვიურ გადასახდელს თვითონ დაფარავს. ამ გზით თქვენ თავიდან აიცილებთ ყველა შემდგომ გართულებას, რომლებიც დავალიანების ზრდასა და ჯარიმებს უკავშირდება.

● არის შემთხვევები, როცა მომხმარებელი აღებული საბანკო ბარათის გამოყენებას რამდენიმე წლის შემდეგ იწყებს. ამ დროს პირველსავე ტრანზაქციის (ანუ საბანკო ოპერაციის) დროს მას ბარათის „უქმად“ განვლილი წლების საკომისიო გადასახადი ერთბაშად ჩამოეჭრება, რაც არცთუ სასიამოვნო სიურპრიზია ხოლმე.

რჩევა: ამიტომაც, თუკი საბანკო ბარათის ხმარებას არ აპირებთ, მისი შეძენისგან, ცხადია, უმჯობესია, თავი შეიკავოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც საკრედიტო ლიმიტის სრულად გამოყენებას შეძლებთ და, ზედმეტი თანხის გადახდაც მოგიწევთ.

● სავსებით შესაძლებელია მოხდეს, რომ ფული უცბად დაგჭირდათ, ახლომახლო კი თქვენი ბანკის ბანკომატი არ არის და სხვა ბანკის აპარატით სარგებლობა მოგიწიათ. ამ შემთხვევაში საკომისიო თანხა შესაძლოა უფრო მაღალი იყოს, ვინაიდან სხვადასხვა ბანკებს ბანკომატიდან ფულის განაღდების განსხვავებული ტარიფები აქვთ.

როცა ბანკომატიდან გამოგაქვთ ფული, უმჯობესია იმ ბანკის აპარატით ისარგებლოთ, რომლის პლასტიკურ ბარათს ხმარობთ, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე მეგობარი ბანკის აპარატი გამოიყენოთ. მეგობარი ბანკების ჩამონათვალის გაგება კი თქვენს მომსახურე ბანკში შეგიძლიათ, რაც უმჯობესია, თადარიგიანად გააკეთოთ. ხოლო თუ ინტერნეტ-ბანკით სარგებლობთ, იქ ახლომდებარე ბანკომატების რუკასაც ნახავთ.

რჩევა: როცა ბანკომატიდან გამოგაქვთ ფული, უმჯობესია იმ ბანკის აპარატით ისარგებლოთ, რომლის პლასტიკურ ბარათს ხმარობთ, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე მეგობარი ბანკის აპარატი გამოიყენოთ. მეგობარი ბანკების ჩამონათვალის გაგება კი თქვენს მომსახურე ბანკში შეგიძლიათ, რაც უმჯობესია, თადარიგიანად გააკეთოთ. ხოლო თუ ინტერნეტ-ბანკით სარგებლობთ, იქ ახლომდებარე ბანკომატების რუკასაც ნახავთ.

ვისაც კომბანკიდან გამოტანილი სესხის წინმსწრებად დაფარვა უცდია, იცის, რომ ამ დროს წინმსწრებით დაფარვის საკომისიოცაა გადასახდელი. საქმე ისაა, რომ ბანკს სესხის მომსახურება, რა თქმა უნდა, მომხმარებელთან შეთანხმებით, კონკრეტულ დროსა და ვადაზე აქვს გაწერილი. ბანკი ისეთივე დადგენილი გრაფიკით მუშაობს მეანაბრეებთანაც და მსესხებლებთანაც. იმის გამო, რომ მსესხებელი წყვეტს ხელშეკრულებას,ბანკი მას გარკვეული საკომისიოს გადახდას აკისრებს.

რჩევა: ზოგ შემთხვევაში სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიო გათვალისწინებული არ არის. ამიტომ უმჯობესია, თავიდანვე გაარკვიოთ, მოგიწევთ თუ არა ამ სახეობის საკომისიოს გადახდა.

მსესხებელმა ხშირად არ იცის, რომ სესხის გაცემაზე ბანკი გასაცემი თანხიდან საკომისიოს აჭრის, ამიტომაც კრედიტის აღებისას მომხმარებელმა ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მით უმეტეს მაშინ, როცა რაღაც საჭიროებისთვის კონკრეტულად ის თანხა სჭირდება, რომელიც მოთხოვნაში მითითებული.

რჩევა: ბანკი კლიენტს ყოველთვის ატყობინებს იმას, თუ სესხის აღებისას რა ხარჯის გაწევა მოუწევს, თუმცა ყველა წვრილმანი კლიენტმა უმჯობესია საკრედიტო ოფიცერთან უშუალოდ გაარკვიოს. მას აუცილებლად უნდა ჰკითხოთ, თუ რა ოდენობის საკომისიო გექნებათ გადასახდელი კრედიტის აღებისას.

ისიც ხდება, რომ საბანკო ბარათს მისი კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირი იყენებს ხოლმე.

რჩევა: ყველა პლასტიკურ ბარათს მოხმარების გარკვეული წესი აქვს, რაც უსაფრთხოების გარკვეული ზომების დაცვას მოითხოვს. კერძოდ, ის უსაფრთხო ადგილას უნდა შეინახოთ, ანგარიშსწორების მიზნით მომსახურე პერსონალს არ ანდოთ, არ შეინახოთ ბარათი ფურცელზე დაწერილ პინკოდთან ერთად. ხოლო თუ ბარათის უფრო მეტად დაცვა გინდათ, მაშინ იგი სადაზღვევო კომპანიაში უნდა დააზღვიოთ.

ოთარ ტურაბელიძე

„ვალს გასტუმრება უნდა“, რომელშიც პენსიონერი, ოთხმოცს გადაცილებული გიორგი ურჩუხიშვილი იმასვე ჩიოდა, რასაც დღეს — ქართლოს ზაქარეიშვილი. რაღაც კაპიკები მქონდა გადანახული შავი დღისთვის, წუხდა ბერიკაცი, და ისიც წამგლიჯეს ამ უნამუსოებმაო. იმ ობლიგაციების მეპატრონეთაგან ბევრი უკვე ღრმაასაკოვანია (ზოგი ცოცხალიც აღარ არის), იქნებ ვინმემ აგვიხსნას, როდემდე შეიძლება ვეღლოდოთ ჩვენი კუთვნილი თანხის დაბრუნებასო?

ვიფიქრე, იქნებ ვალის ნაწილი მაინც დაიბრუნა-მეთქი და მობილურით გიორგი ურჩუხიშვილს დავუკავშირდი.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი, როგორ შეხვდით წლევანდელ შობა-ახალწელს?

— აბა, როგორ შევხვდებოდი 85 წლის მოხუცი, — შემჩივლა, — აღარ ვიცი, ეს პენსია წამლებს გავაწვდინო თუ საკვებს. ამდროს ჩემი ვალი აქვს სახელმწიფოს და არ მაძლევს.

— ამბის გასაგებად არავისთვის მიგიკითხავთ?

— როგორ არა, რამდენჯერმე ვიყავი ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი გავიგე.

— ნოდარ ხადური რა პირობას იძლევა?

— იჰ, ხადურს ჩვენისთანებისთვის სად სცალია, მან ვინძლო ბიუჯეტს იმდენი თანხა აახიოს, რომ ჩინოვნიკების პრემია-დანამატებისთვის იკმაროს და თავი სამოთხეში ჰგონია.

— არც იმას გეუბნებიან, სახელმწიფოს ობლიგაციებიდან რა რაოდენობის თანხა დარჩა გაუსტუმრებელი?

— არა, მაგ ციფრს საიდუმლოდ ინახავენ. არადა, შესაძლოა, ის ახლანდელი ორი მსხვილი მოხელის პრემიასაც არ აღემატებოდეს.

— გული არ გაიტეხოთ, — გავამხნევე ბერიკაცი, — 2030 წლამდე ალბათ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდებით და ვალს ევროთი დაგიბრუნებენ.

— სად და როდის, კაცო, საიქიოში?!

ტელეფონი გამოვრთე. მთავრობას ვერაფერს დაუწუნებ, გავიფიქრე, მან ვალის გასასტუმრებლად, მართლაც რომ ვადაგამძლე, უკვდავი ვალდებულებები შეიმუშავა უბრალო, რიგით მოკვდავთათვის. დაე, იცოცხლონ და ელოდონ...

ოთარ ხუციშვილი.
599482725

◎ საფრთხე

ევროპაში თავისუფლად გადაადგილება მირაჟად იქცევა?

შენგენის ზონა, ზოგ საზღვარზე კონტროლით

დანიამ გერმანიასთან საზღვარზე მგზავრთა დოკუმენტების შემოწმება დაიწყო. მანამდე კი შვედეთი შეუდგა თავის ტერიტორიაზე მოხვედრის მსურველთა დოკუმენტების გაკონტროლებას. ეს ნაბიჯები მიგრანტთა ნაკადის შემცირებას ემსახურება და, ამავე დროს, მძიმე დარტყმაა შენგენის ზონის პრინციპისთვის: უპასპორტოდ, საზღვარზე კონტროლის გარეშე შეგეძლოს გადაადგილება შენგენის ზონის ქვეყნებში.

შვედეთი, ბოლო ნახევარ საუკუნეში პირველად ორშაბათს შეუდგა დანიასთან საზღვარზე დოკუმენტების შემოწმებას.. მიზანია, შვედეთის ტერიტორიაზე აღარ შეუშვან მიგრანტები, ვისაც ფოტოსურათიანი დოკუმენტი არა აქვს. შემოწმების განახლების შედეგი იყო 50 წუთამდე ლოდინი მატარებლებისა და ავტობუსებისათვის. მსუბუქ ავტომანქანებს არ ამოწმებენ. იმავე დღეს, 4 იანვარს, დანიის პრემიერ-მინისტრმა ლარს ლოკკე რასმუსენმა განაცხადა: შვედეთის ნაბიჯი არჩევანს არ გვიტოვებს — ჩვენც, დანიამაც, უნდა დავაწესოთ საზღვარზე კონტროლიო.

„მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ორშაბათს, 4 იანვარს, 11 საათიდან განხორციელდეს დროებითი კონტროლი გერმანიასთან საზღვარზე. ეს დიდი ნაბიჯია და, რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ ევროპაში მიგრაციისა და ლტოლვილთა კრიზისის სერიოზულობის კონტექსტში. ევროპა ახლა შუა კრიზისშია — ალბათ, უდიდეს და ყველაზე კომპლექსურ კრიზისში, რომელიც ამ საუკუნეში გვინახავს“, — განაცხადა დანიის პრემიერ-მინისტრმა.

რასმუსენის განმარტებით, შვედეთის მიერ საზღვარზე დოკუმენტების გაკონტროლება ზრდის საფრთხეს, რომ სულ უფრო მეტი არალეგალური იმიგრანტი დარჩება დანიაში. მისივე თქმით, გერმანიასთან საზღვარზე კონტროლი 10 დღით შედის ძალაში, თუმცა, შესაძლოა, გახანგრძლივდეს კიდეც.

შარშან შვედეთმა 163 ათასამდე ლტოლვილი მიიღო — ევროპის მასშტაბით, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნოემბერში აღმოჩნდა, რომ კვირაში 10 ათასამდე მიგრანტი ცდილობდა შვედეთში მოხვედრას (უმეტესწილად, დანიის გავლით) სტოკჰოლმმა გამოაცხადა, რომ გეგმავს საზღვარზე კონტროლისა და იმიგრაციის წესების გამკაცრებას.

მთლიანობაში, შარშან ევროპაში ჩავიდა მილიონზე მეტი მიგრანტი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ომებსა და სიღარიბეს გაურბის. გაცილებით მეტს მოელიან მიმდინარე წელს. ევროპაში მიგრაციის ამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო, ტალღამ მძიმე პრობლემების წინაშე დააყენა ევროკავშირი, საზღვრებზე კონტროლის გარეშე გადაადგილების მისეული პოლიტიკა, აზრთა სხვაობა და დავა გამოიწვია ევროკავშირის ლიდერებში.

მაგალითად, ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მასობრივი მიგრაცია (ზემანი მას „შემოსევად“ მოიხსენიებს) ორგანიზებულია „მუსლიმთა საძმოს“ მიერ, რომელიც1928 წელსაა დაფუძნებული როგორც სუნიტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია, მთელ არაბულ სამყაროში რომ ჰყავს მიმდევრები და რომელსაც ზოგი ქვეყანა — მათ შორის, ეგვიპტე, სირია, რუსეთი და საუდის არაბეთი — ტერორისტულ გაერთიანებად მიიჩნევს.

„ვფიქრობ, რომ ეს შემოსევა ორგანიზებულია „მუსლიმთა საძმოს“ მიერ — რასაკვირველია, მთელი რიგი ქვეყნების ფინანსური რესურსების გამოყენებით. (...) „მუსლიმთა საძმოს“ შეუძლია გააკეთოს ის, რომ მოამზადოს მიგრანტთა მზარდი ტალღა და თანდათან მოიპოვოს კონტროლი ევროპაზე, როგორც ეს ხდება დასავლეთ ევროპის ზოგ ქალაქში, სადაც ახლა უკვე ისეა, რომ პოლიციას ღამე შესვლის ეშინია“, — ეს სიტყვები 4 იანვარს ჩეხეთის რადიო „ჩესკი როზჰლას პლუსთან“ საუბრისას წარმოთქვა პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა. მისი ქვეყანა არ მიეკუთვნება ევროკავშირის წევრებს, რომლებში მოხვედრაც მიგრანტების უმრავლესობას სურს. ჩეხეთი არ მიეკუთვნება არც ქვეყნებს, რომელთა გავლითაც მიგრანტები ჩრდილოეთ ევროპას მიაშურებენ. და მაინც, ჩეხეთს (ისევე როგორც ევროკავშირის ზოგ სხვა აღმოსავლეთევროპელ წევრს, მათ შორის — სლოვაკეთსა და პოლონეთს) დაუფარავად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მიგრანტთა მიღების საკითხისადმი.

მიგრაციის ტალღასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბუნებრივია, ბევრს ლაპარაკობენ გერმანიაშიც, სადაც მარტო შარშან მილიონამდე მიგრანტი ჩავიდა.

„ორი აზრი არ არსებობს, რომ ამდენი ადამიანის ჩამოსვლა კიდევ დიდი ამოცანების წინაშე დაგვაყენებს. საამისოდ დრო, ფული და ძალა დაგვჭირდება, განსაკუთრებით რაც შეეხება იმ ადამიანთა ინტეგრაციის მნიშვნელოვან ამოცანას, რომლებიც აქ დიდხანს დარჩებიან“, — აღნიშნა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საახალწლო მიმართვაში, რომელიც 31 დეკემბერს გადაიცა გერმანიის საზოგადოებრივი ტელევიზიით.

4 იანვარს გერმანია კრიტიკით გამოეხმაურა მეზობელი დანიის გადაწყვეტილებას სასაზღვრო კონტროლის დროებით განახლების შესახებ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ხედავს საფრთხეს, რომელიც მთელ ევროპაში თავისუფლად გადაადგილებას ემუქრება - ემუქრება პრინციპს, რომელიც ბევრს, მათ შორის, შტაინმაიერსაც მიაჩნია ევროპის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად.

მარიამ ჟიაურელი,
რადიო „თავისუფლება“

რას გულისხმობს მოსკოვის „კანონიერი ინტერესები?“

რუსეთი აძლიერებს ზეგავლენას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში

საძართველოს ოკუპირებული რეგიონები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — სტრატეგიულ მოკავშირეებად არიან მოხსენიებული რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების განახლებულ სტრატეგიაში, რომელშიც რუსეთი მსოფლიოს ძლევამოსილ სახელმწიფოდ არის გამოყვანილი. ამასთან, პრეზიდენტ პუტინის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების წყაროდ განხილული არიან: აშშ, ნატო და ევროკავშირი. რისი თქმა სურს მოსკოვს და რა სიგნალებს შეიცავს ეს დოკუმენტი საქართველოსთვის?

ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომელიც რუსეთის ფედერაციის ეროვნულ ინტერესებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და შიდა თუ საგარეო პოლიტიკის ამოცანებს განსაზღვრავს, რუსეთს ავალდებულებს, „განიმტკიცოს“ მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ძლევამოსილი სახელმწიფოს სტატუსი, რაც, დოკუმენტის თანახმად, უნდა მოემსახუროს **„სტრატეგიული სტაბილურობის და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის მხარდაჭერას პოლიცენტრულ მსოფლიოში“.**

ასეთი მიზნების ფონზე, ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში აშკარად იგრძნობა მოსკოვის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ. კვლავაც აშკარაა, რომ რუსეთი მისდამი აგრესიის გამოვლინებად მიიჩნევს ნატოს გაფართოების სტრატეგიას და ალიანსს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში სდებს ბრალს. ამასთან, მოსკოვი მოითხოვს, რომ სამხედრო- პოლიტიკური დაგეგმარების დროს ნატომ გაითვალისწინოს მოსკოვის „კანონიერი ინტერესები“. ახალი სტრატეგიის თანახმად, აშშ და მისი მოკავშირეები ეწინააღმდეგებიან რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმოებას და ეს განპირობებულია მსოფლიო საქმეებში მათი დომინანტური როლის შენარჩუნებისკენ სწრაფვით. სტრატეგიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ დასავლეთის პოლიტიკა ევრაზიული კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული და რომ შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა მიზანმიმართულად დაუჭირეს მხარი „ანტიკონსტიტუციურ სახელმწიფო გადატრიალებას“ უკრაინაში, რაც, საბოლოოდ, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. დოკუმენტის ტექსტში, მაგალითად, ნათქვამია ასევე, რომ მიგრაციული ნაკადების გააქტიურებამ ევროპაში (აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან) გამოავლინა უძლურება ევროატლანტიკური უსაფრთხოების რეგიონალური სისტემისა, რომელიც ეფუძნება ნატოსა და ევროკავშირს.

უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის ტექსტში საქართველო არც მტრებშია მოხსენიებული და არც მეგობრებში, მაგრამ, სამაგიეროდ, სტრატეგიულ მოკავშირეებად არიან მოხსენიებული რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონები:

„ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან, აფხაზეთის რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკისთვის. რუსეთი ავითარებს რეგიონალური და სუბრეგიონალური ინტეგრაციის პოტენციალსა და კოორდინაციას დსთ-ს სივრცეში, ამ თანამეგობრობის ჩარჩოებში და ასევე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სივრცეში, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სივრცეში, ასევე მოკავშირე სახელმწიფოს სტატუსით, რაც ხელს უწყობს საერთო მდგომარეობის სტაბილურობას რეგიონებში, რომლებიც ესაზღვრებიან დსთ-ს ქვეყნებს, აფხაზეთის რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“.

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის გაცნობისას, დამოუკიდებელ ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ტექსტი გამსჭვალულია „ცივი ომის სულისკვეთებით“ და რომ მოსკოვი სწორედ ამ ჭრილში ცდილობს საკუთარი პოზიციების გამყარებას. ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხსენება ანალიტიკოსისთვის იმის მანიშნებელია, რომ მოსკოვი არც კი ფიქრობს, გადახედოს მიდგომებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ:

„ის განცხადება, რაც გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა (გასული წლის) შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე — რომ თქვენ, ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთმანეთში ისაუბრეთ და ჩვენ მივიღებთ ნებისმიერ თქვენს გადაწყვეტილებას — ეს წინააღმდეგობაში მოდის ამ დოკუმენტში (რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში) ასახულ პოსტულატებთან, სადაც პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ ორ რესპუბლიკასთან (და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოიაზრება როგორც სუვერენული სახელმწიფოები) ყველანაირი ურთიერთობის განვითარება ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“.

აგრესიული მიდგომების ფონზე, როცა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, რუსეთი კვლავაც ვერ ელევა „ევრაზიული კავშირის შეკოწიწების იდეას“, ზაალ ანჯაფარიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რათა საქართველო მოსკოვმა არ აღიქვას მტრულ სახელმწიფოდ და ამ კონტექსტში, ანალიტიკოსის აზრით, გარკვეულწილად გამართლებულია ურთიერთობების გაუმჯობესების პოლიტიკა, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ წამოიწყო და რომელსაც ბევრი კრიტიკოსი ჰყავს.

მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკის კრიტიკოსთა შორის არის, მაგალითად, პოლიტოლოგი გიორგი გობრონიძე, რომელსაც სწორედ ამ პოლიტიკის მარცხის კიდევ ერთ გამოვლინებად მიაჩნია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია:

„მართალია, შევარბილეთ რიტორიკა, ვითანამშრომლეთ რუსეთთან სოჭის ოლიმპიადის დროს და გადავდგით კიდევ არაერთი ნაბიჯი, მაგრამ ვერ მივიღეთ შედეგი, რომლის მიღებასაც ჩვენ ვისურვებდით... და ეს ბუნებრივია, რადგანაც რუსეთის ფედერაცია ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ის არ წაიღებს უკან აღიარებას და, მეორე, კავკასიაში შეიქმნა ახალი რეალიები, რასაც საქართველო უნდა შეეგუოს. რასაც ახლა ვხედავთ, ეს არის ამ რეალიების იმპლემენტაციის მცდელობა... აშკარაა, რომ ეს რეგიონები მნიშვნელოვანია რუსეთისთვის და წარმოადგენს ერთგვარ სამხედრო ფორპოსტს კავკასიონის ქედის სამხრეთით, სომხეთის სამხედრო ბაზებთან ერთად, და ქმნის ერთიან ჯაჭვს, რომლითაც რუსეთი ინარჩუნებს სამხედრო ყოფნას რეგიონში“.

რუსეთის ქმედებები პრობლემაა შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისთვის, — განაცხადა აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა ჯოზეფ დანფორდმა, როცა ის ორშაბათს პასუხობდა მედიის შეკითხვებს რუსეთის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასთან დაკავშირებით. გენერალი დანფორდი მიიჩნევს, რომ მოსკოვის მიერ ამ დოკუმენტში გამოხატული პოზიცია არ ცვლის მის წარმოდგენებს რუსეთისგან მომავალ საფრთხეებთან დაკავშირებით.

ამ უცვლელ წარმოდგენებს კი ქმნის რუსეთის ხელთ არსებული ბირთვული თუ სხვა სახის იარაღი და მისი დამოკიდებულება შეერთებული შტატების პარტნიორების მიმართ. ითქვა ასევე, რომ რუსეთის ქმედებები უკრაინასა და საქართველოში აიძულებს ვაშინგტონს, სერიოზულად მიუდგეს მოსკოვის სამხედრო პოტენციალს. ამის მიუხედავად, ჯოზეფ დანფორდის თქმით, გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა მან აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა, ის ორჯერ ესაუბრა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსს ვალერი გერასიმოვს და აპირებს, რომ რუს კოლეგასთან მუდმივი კავშირი სამომავლოდაც იქონიოს.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

◎ ᲐᲛᲔᲠ-ᲘᲛᲔᲠᲘ

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი ადასტურებს, რომ ჯარისკაცებს დაზღვევა 1 თებერვლამდე არ ექნებათ. იგი გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, სამხედრო მოსამსახურეებს დაზღვევა შეუჩერდათ.

„გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა დაზღვევა შეჩერდა. არა. აქ არაფერია არც საიდუმლო და არც მოსაპოვებელი. ჩატარდა ტენდერი, რომელიც გამოცხადებული იყო. ეს ჩვეულებრივი ამბავია. არ არის სასიამოვნო, მაგრამ ჩვეულებრივია. იანვრის თვეში თავდაცვის სამინისტრო ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს აანალიზებს, 1 თებერვლიდან კი დაზღვევა ჩვეულებრივ გაგრძელდება. სამხედროებისთვის ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, ვინაიდან მათ ჯანმრთელობაზე ზუსტად ისევე იზრუნებს თავდაცვის სამინისტრო, როგორც დაზღვევა რომ ჰქონოდათ. უბრალოდ, ჯიბეში ბარათი 1 თებერვლიდან ექნებათ, ნაცვლად 1 იანვრისა“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

„ᲙᲝᲙᲐ-ᲙᲝᲚᲐᲛ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲫᲐᲑᲐ

„ᲙᲝᲙᲐ-ᲙᲝᲚᲐᲛ“ საშობაო კამპანიის ფარგლებში რუკაზე ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში მონიშვნის ფაქტის გამო ბოდიში მოიხადა.

როგორც უკრაინული მედია წერს, კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში განმარტებულია, რომ რუკაზე ყირიმის მონიშვნა „კოკა-კოლას“ რუსეთის წარმომადგენლობის ინიციატივით მოხდა და თავად საქმის კურსში არ იყვნენ. თავდაპირველად კომპანიამ გამოაქვეყნა რუკა, სადაც რუსეთი ყირიმის გარეშე იყო წარმოდგენილი. სოციალურ ქსელში რუსი მომხმარებლების უკმაყოფილების შემდეგ „კოკა-კოლამ“ ეს „შეცდომა გამოასწორა“ და ახალი რუკა განათავსა, რომლის მიხედვითაც, უკვე ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ახალმა რუკამ უკვე უკრაინელების უკმაყოფილება გამოიწვია. უმაღლესი რადას დეპუტატმა მუსტაფა ნაიემმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მთავრობას „კოკა-კოლას“ პროდუქციისთვის ბოიკოტის გამოცხადებისკენ მოუწოდა. მომხდარის შემდეგ „კოკა-კოლას“ უკრაინის წარმომადგენლობამ ბოდიში მოიხადა და კომპანიის ოფიციალური გვერდებიდან საახალწლო რუკა წაიშალა.

◎ SIC!

ᲔᲡ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲙᲘᲑᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲒᲕᲙᲚᲐᲕᲡ!

ᲐᲜᲣ ᲜᲣ ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲢᲔᲑᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲖᲝᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ „ასდფ 2“, რომელსაც ინტერნეტში კიბოს მკურნალობის უებარ საშუალებად ასახელებენ, რეალურად სიმსივნეს არ კურნავს. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ ჯანდაცვის პოლიტიკის მართვის სპეციალისტმა სერგო ჩიხლაძემ განუცხადა. „ნებისმიერი პრეპარატის მიღება, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანისთვის შეიძლება გახდეს ფატალური. ამ პრეპარატების ტოქსიკური და ალერგიული ფონი გაცილებით მაღალია, ვიდრე მედიცინაში გამოყენებული პრეპარატებისა. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ ვეტერინარიული წამლების ანოტაციებში, ასევე შესაბამისი წამლების მწარმოებელი კომპანიების საიტებზე თვითონ მწარმოებლები აცხადებენ ოფიციალურად, რომ ეს პრეპარატები განკუთვნილია ცხოველებისთვის და არ შეიძლება მათი ადამიანისთვის მოხმარება“, — განაცხადა ჩიხლაძემ.

მისივე თქმით, არსებობს ვეტერინარიაში გამოყენებული ნებისმიერი პრეპარატის ანალოგი, რომელიც იხმარება მედიცინაში და მორგებულია და შექმნილია ადამიანისთვის და გაუგებარია, რატომ უნდა აირჩიოს ადამიანმა ცხოველისთვის განკუთვნილი მედიკამენტი, როცა არის იგივე შემადგენლობის პრეპარატები, ოღონდ ადამიანზე მორგებული.

„ასდფ 2“-ის შესახებ „ლეგენდები“ დიდი ხანია დადის. ეს არის პრეპარატი, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში შექმნა რუსმა მეცნიერმა დოროგოვმა. ეს პრეპარატი მიიღება ცხოველების ძვლოვანი და კუნთოვანი ქსოვილის ნარჩენების დამუშავებით მაღალ ტემპერატურაზე. ეს არის ანტისეპტიკი და იმუნოსტიმულატორი და იხმარება ვეტერინარიაში და იხმარებოდა მედიცინაშიც, როგორც გარეგანი, ანუ კანზე წასასმელი საშუალება. თავის დროზე, 50-იან და 60-იან წლებში ბუმი იყო ამ პრეპარატზე და მის შესაძენად მოსკოვში რიგებიც იდგა თურმე. თუმცა შემდეგ ეს აუიოტაჟი ჩაცხრა, რადგან, რა თქმა უნდა, არანაირი განკურნება სიმსივნეებისა არ ხდებოდა. ჩემთვის გაურკვეველია, რატომ არის აქტიური ეს თემა დღეს?!“, — აცხადებს ჩიხლაძე. და დასძენს, — „კარგად თუ დავაკვირდებით, უარყოფითი კომენტარი უფრო მეტია, ვიდრე დადებითი. ის დადებითი კომენტარებიც რომ ავიღოთ, იქაც კი ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომელიც ამბობს, რომ ამ პრეპარატმა სიმსივნისგან განკურნა ვინმე. დადებითი ეფექტის შემთხვევაშიც კი ის არ იხმარებოდა მონოთერაპიის სახით, არამედ მიიღებოდა სიმსივნის საწინააღმდეგო კლასიკურ პრეპარატებთან ერთად. ასე რომ, ხმები ამ პრეპარატის სასწაულმოქმედებაზე, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია“.

ჩიხლაძე აცხადებს, რომ სჯობს, ისევ გამოცდილი და უსაფრთხო პრეპარატების მიღება და, რაც მთავარია, ექიმის მიერ დანიშნულის, ვიდრე საკუთარ თავზე ექსპერიმენტების ტარება.

რუსი ხალხი – საკუთარი ქვეყნის ბედისმწერალი

სტალინი და ლიბერალები

ეს ისტორიული პიროვნება კვლავ იწვევს დავებს. გაზეთების ფურცლებზე, ეთერში, სუფრაზე. თითქოს, დადგა გამოააშკარავების ჟამი, გაფანტულია ილუზიები, დანგრეულია მითები, „დესტალინიზაცია“ არ შეჩერებულა და უკანაც გრუნდება. გენერალისიმუსს ბრალად სდებენ არა მხოლოდ მისი მართვის პრაქტიკას. სტალინიზმის სათავეებს ივანე მრისხანეს ეპოქაში პოულობენ, „სტალინური ტოტალიტარიზმის“ ნიშნებს ავლენენ დღევანდელ დღეს. იმის შესახებ, თუ რატომ გააქტიურდნენ „პიროვნების კულტთან“ მებრძოლები, არის საუბარი ამ სტატიაში.

სტატიის წერა მიკარნახა სერგეი სერგეევის პუბლიკაციების სერიამ, რომელიც გამოვიდა საერთო სათაურით „სტალინიზმი, როგორც რეგრესი“ „აპეენის“ (პოლიტიკური ახალი ამბების სააგენტო) სააგენტოს პორტალზე.

ავტორი „ლ.ვ. შაპორინას დღიურის“ (გამოიცა 2012 წელს) მიმოხილვით იწყებს, გვთავაზობს მას სტალინის დროის მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს სახით, პირად მოგონებებს უწოდებს „ყოველდღიური ცხოვრების ჯოჯოხეთს“. შემდეგ კი აგრძელებს იმით, რომ ცდილობს გვიჩვენოს, თითქოს სტალინური სსრ კავშირი არ იყო სოციალური სახელმწიფო, რომ ეს თეზისი „მთლიანად შეესაბამება უახლესი კვლევების დასკვნებს“. ავტორი აცხადებს: „გასაგებია, რომ ღარიბ და ნახევრად ღარიბ მუშებს არ სურდათ გამოევლინათ შრომითი ენთუზიაზმი საწარმოებში, სადაც მათ დაუნდობელ ექსპლუატაციას უწევდნენ“. პუბლიცისტი მიუთითებს სტალინის გამომააშკარავებელ წიგნებს, რამაც, ეტყობა, ნაწერს უნდა მიანიჭოს მეცნიერულობა და დამაჯერებლობა. თუმცა შეუძლებელია თავი აარიდო იმის შეგრძნებას, რომ სერგეი სერგეევი მიკერძოებელია, არაობიექტური, წყაროების მნიშვნელობა კი გადაჭარბებული.

ავტორი თავს აფარებს სხვადასხვაგვარ „მებოსლეებსა“ და „დონალდებს“, კონტექსტებიდან იტაცებს ციტატებსა და ციფრებს და ღრმა ანალიზის გარეშე აკეთებს თავის დასკვნებს. მაგალითად, რომ სსრ კავშირში მოხდა „სხვადასხვაობის წაშლა თავისუფალ და მონურ შრომას შორის“, ლაპარაკობს სსრ კავშირში გამეფებულ უთანასწორობაზე, ხალხის სტალინისადმი ტოტალურ სიძულვილზე.

სერგეევი გვარწმუნებს, რომ დღეს საზოგადოებაში ნაკლებად აინტერესებთ „შაპორინას დღიური“, ნიკოლაი სტარიკოვის წიგნს კი **„სტალინი, ვიგონებთ ერთად“** უწოდებს „სტალინურ მაკულატურას“, თუმცა მისმა სასტარტო ტირაჟმა 20 ათასი ეგზემპლარი შეადგინა.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გაზეთ „კულტურას“ ურალელი სპეციალური კორესპონდენტის ანდრეი მოისეენკოს სტატიამ **„როგორ ებრძოდა როიზმანი სტალინს“.** მასში საუბარია თანამედროვე რუსი ლიბერალების ორთოდოქსების შეხედულებებსა და სასოებებზე. ამ ცოტა ხნის წინათ VIII საერთაშორისო კონფერენციაზე **„სტალინიზმის ისტორია“** ურალის ბ.ნ. ელცინის სახელობის ფედერალური უნივერსიტეტის კედლებში შეიკრიბნენ ისტორიკოსები და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და მწერლები ისტორიული სამართლიანობის ძიებისათვის. კომენტარს არ გავუკეთებ მის მონაწილეთა ყველა გამონათქვამს, მაგრამ ერთი გზავნილი: **„არ გვაქვს საბაბი, ვიამაყოთ საბჭოთა კავშირით, გამარჯვებით, დიადი გარდაქმნებითო...“** რბილად რომ ვთქვათ, გვაიძულებს მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენ წარსულს. რა შეიძლება ასწავლოს სტუდენტებს ურალის ფედერალური უნივერსიტეტის ასეთმა ღონისძიებებმა? რა უნდა ასწავლოს „მემორიალის“ ხელმძღვანელმა არსენი როგინსკიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ ნაცისტები კომუნისტებზე უკეთესები არიანო?! რად ღირს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის თანამშრომლის ოლეგ ხევნიუკის გამონათქვამი, რომელსაც მიაჩნია, რომ **ჰიტლერი სტალინზე უკეთესია, ვინაიდან ჰიტლერმა მანდატი ხალხისგან მიიღო, სტალინმა კი – არა?...** დგება სხვა საკითხიც: რად ღირს ეკატერინბურგის ქალაქის უფროსის ევგენი როიზმანის „სახალხო“ მანდატი და საექსპერტო დონე?

„კულტურას“ საკუთარი კორესპონდენტი წერს: „მთელ კონფერენციას ტონი მისცა ადგილობრივი ქალაქის უფროსმა ევგენი როიზმანმა: „უკანასკნელ ხანებში ვხვდები ხოლმე ისეთ რამეს, რომ ჩნდება ახალგაზრდა და ხანდაზმული კომუნისტების კერები ინიციატივით – **აღადგინონ სტალინის ძეგლი.** ძალიან შეიცვალა სიტუაცია ქვეყანაში, ძალიან რთული გახდა პოლემიკა. როდესაც მიწევდა ახალგაზრდა კომუნისტებთან საუბარი, მომყავდა მარტივი მაგალითი. შეხედეთ, 1937-1938 წლებში, შინსახკომის მონაცემებით, დახვრიტეს 688 ათასი კაცი. ჩვენი ქვეყანა ხოცავდა ათასობით თავის მოქალაქეს ყოველდღე“... ბატონი როიზმანი, თუმცა კი არის განათლებით ისტორიკოსი, მეტად თვითნებურად მოეკიდა ფაქტებს. ოფიციალური მონაცემებით, შინსახკომის ორგანოების მიერ მართლაც დაიხვრიტა **600 ათასზე მეტი კაცი. ოღონდ არა 1937-1938 წლებში, არამედ 1920 წლების დასაწყისიდან სტალინის გარდაცვალებამდე (1953 წ).** ესეც, რასაკვირველია, ძალიან ბევრია, ასევე საშინელია, მაგრამ არავითარი „ათასობით დახვრეტა ყოველდღე“ არ ყოფილა, ამაზე საუბარი ზედმეტია.

„კულტურას“ საკუთარ კორესპონდენტს მოჰყავს ადგილობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები: ქალაქის მოსახლეობის 65 პროცენტი მხარს უჭერს ეკატერიბურგში სტალინის ძეგლის დადგმას, 20 პროცენტი იდეისადმი გულგრილია, 15 პროცენტი – კატეგორიულად წინააღმდეგი. მაგრამ ადგილობრივ მმართველს მოქალაქეთა უმრავლესობის აზრი არ აინტერესებს. მას მიაჩნია, რომ ქალაქში ყველაფერი იქნება ისე, როგორც გადაწყვეტს. მაგრამ, ნება გვიბოძეთ, რატომაა, რომ „ყველაზე ლიბერალ მერს“ აბსოლუტურად ავიწყდება წმინდა ცნება – დემოკრატია?

ვის ხარჯზე შეიკრიბნენ ეკატერინბურგში კონფერენციის მონაწილეები მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან და რუსეთის სხვადასხვა მხარიდან – სვამდნენ, ჭამდნენ, ცხოვრობდნენ სასტუმროებში? თურმე, ხარჯი გაანაღდა ელცინის ფონდმა. ამ დროს სტატიის ავტორი აღნიშნავს მნიშვნელოვან მომენტს: დასავლელი მეცნიერები სტალინზე შეხედულებებში გაცილებით პოლიტკორექტულები არიან, ვიდრე რუსეთიდან გამოსულები.

ჩვენი ლიბერალების ბრძოლის პრინციპულობა სტალინის მოღვაწეობასთან მოგვაგონებს ცუდად (მაგრამ უწყვეტად) მომუშავე საათის მექანიზმს. ამ დროს ქანქარის ამპლიტუდა მეტად მთვრალი კაცის მოძრაობას ჰგავს. სტალინის ეპოქისადმი შეიძლება გქონდეს სხვადასხვა მიდგომა. იყო პოლიტიკოსების მზაკვრობაც, იყო ათობით ათასი უდანაშაულო ადამიანის წამებით სიკვდილიც შინსახკომის ჯურღმულებში. არსებობდა სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ აგებული „სამართალდაცვის სისტემა“, რომელიც სჯიდა ბევრ უდანაშაულოს. ამ დროს მეზობლებისა ან თანაპარტიელების დასმენების, დაბეზღებების შედეგად ბევრი სხვა სამყაროში გადასახლდა. მაშ, რატომაა, რომ მედლის ეს მხარე ჩრდილში რჩება? თანაც მისი მორალური შემადგენელი ნაწილი დუმს. უდანაშაულო ადამიანების მწამებლები ხომ რეალური ადამიანები იყვნენ. ვინმე დაისაჯა?

ბევრი ადამიანის რეაბილიტაცია მოახდინეს „ხალხთან ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ. სადღაა გარემოცვის საქმიანობის შეფასება, ხომ იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ყრილობები, კრებები?... ვფიქრობ, ეს თემა არ აინტერესებთ დესტალინიზატორებს, ვინაიდან მათი სამიზნე ერთი ადამიანია. ასე იყო ხრუშჩოვის ბრალდებებთან (უმთავრესად გამოგონილ) დაკავშირებით სკკპ XX ყრილობაზე. ყრილობის ტრიბუნიდან ხრუშჩოვის ნათქვამს დელეგატები აღიქვამდნენ, როგორც რეალობას. განა ვინმემ დამსწრეთაგან განაცხადა პროტესტი? რასაკვირველია, არა. **უეჭველია, პასუხისმგებლობა ბევრ უკანონობაზე ეკისრება სტალინს, მაგრამ არანაკლებად ყველას, ვინც მას ეხმარებოდა და მხარს უჭერდა, ესე იგი სისტემის მონაწილეებს.**

თავის მხრივ, დროული იქნებოდა შევახსენოთ ლიბერალებს და დემოკრატ-ანალიტიკოსებს, რომ ჩვენმა სამშობლომ სახალხო მეურნეობის აღდგენის, მმართველობითი კადრების დაბალი დონის, სამოქალაქო და განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებში ყველაფერს გაუძლო სტალინის, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, უმაღლესი მთავარსარდლის უშუალო ხელმძღვანელობით. ფაშიზმთან უმკაცრეს შეტაკებაში გაიმარჯვა! განა ეს ცოტაა?

ლიბერალების მიერ შემოთავაზებული ტრიბუნალი უკვე 62-ზე მეტი წლის წინათ გარდაცვლილი სტალინის დაგმობისათვის – უბრალოდ მკრეხელობაა. ამ ხალხს არ აინტერესებს განკულაკებული გლეხების ტრაგედიები, მეცნიერების, კულტურის, წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის, სასულიერო პირების სიკვდილით დასჯა. როგორც ის, რომ სტალინურმა კოლექტივიზაციამ, დიახ, სასწაულებრივი ექსპერიმენტებით და, ეს უდავოა, უზრუნველყო ქვეყანა პურით, ინდუსტრიალიზაციამ კი მოახდინა ქვეყნის სამრეწველო მოდერნიზაცია, გლეხობის უზარმაზარი ნაწილი მწარმოებელ ძალად აქცია.

სოციალისტური ინდუსტრიის, საკოლმეურნეო წყობილების შექმნის ისტორია, ეკონომიკის ფუნდამენტის აღმართვა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ჩამოყალიბება, სსრ კავშირის ხალხთა ძმობა და მეგობრობა – საბჭოთა კავშირის მიღწევათა უცილობელი დადასტურებაა. სტალინის აქტიური მონაწილეობისა და გადამწყვეტი როლის გარეშე არც ერთი ეს მიღწევა არ იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ ჩნდება შეკითხვა: რა ფასად? გიპასუხებთ – საშინელ ფასად.

დღეს, მრავალი ათეული წლის შემდეგ, თითოეულ ჩვენგანს, საბედნიეროდ, აძვს შესაძლებლობა იფიქროს და ილაპარაკოს თავისუფლად. იმ წლებში შიშით ლაპარაკობდნენ. მაგრამ ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩვენი ბედი, ისტორიას რომ სხვაგვარი განკარგულება გაეცა? იქნებ, ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებების ასეთმა საშინელმა ფასმა მოგვცა საშუალება, რომ გადავრჩენილიყავით?

მომხდარი ისტორიის სიმართლეს ვერსად გავექცევით. იგი ჩვენია და მეორე – დამნდობი, უფრო კეთილი – არ იქნება.

დღეს ასამართლებენ სტალინს – მაშასადამე, ურტყამენ რუსეთს, როგორც სსრ კავშირის სამართალმემკვიდრეს. ვეკითხები ჩემ თავს: რისთვის სჭირდებათ ეს ყოველივე „გამოააშკარავების“ ინიციატორებს? რომ კიდევ ერთხელ შეახსენონ თავი მეპატრონეებს? თუ აფორიაქებთ სხვა მოტივები? ოცნებები? – წაიყვანონ ჩვენი სამშობლო თავიანთი ლიბერალური კურსით? გარწმუნებთ, არაფერი ეს არ გამოვა, როგორც არ უნდა ეცადონ. იმიტომ, რომ ჩვენს ბედისმწერლად გამოდის ისტორიის სხვა ობიექტი – დიდი რუსი ხალხი...

გორბაჩოვის ძალისხმევით ჩვენ დავკარგეთ დიდი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი. ეს იყო საზღაური ფეხქვეშ გათელილი ისტორიისთვის, სტალინის დიდების შესახებ წართმეული ხსოვნისთვის, მაგრამ ისეთი ფიგურები, როგორიცაა სტალინი, წარსულში არ იკარგებიან, ისინი გვაძლევენ ჩვენ ორიენტირს მომავალში. დავიხევთ უკან სტალინის მიერ დასახული გზიდან – ჩვენ გაგვთელავენ, როგორც „დიდოელი ლეკი ნაბადს“. გორბაჩოვის დასავლელი მფარველები დიდი ხანია ოცნებობენ ბლიც-კრიგზე...

მაღალფარდოვანი დაპირებები და ლოზუნგები მე მომისმენია, როდესაც ვიმყოფებოდი გორბაჩოვის გვერდით სპიტაკში 1988 წელს. მოსმენილის შემდეგ მომეჩვენა, რომ ვუსმენ არა პარტიის ლიდერს, არამედ უბრალო ობივატელს. და ეს კაცი სათავეში ედგა იმ პარტიას, ვისაც მე 30-ზე მეტი წელი მივუძღვენი! ჩემი ვარაუდები მალე დადასტურდა.

გაოცებას ვერ მალავ: და ეს კაცი ცდილობს დღეს ჭკუა ასწავლოს ჩვენ პრეზიდენტს! ნუთუ არა რცხვენია? აჯობებდა მიხედოს თავისი შვილიშვილის აღზრდას, ჩაუნერგოს მას თუნდაც მცირეოდენი პატივისცემა ქვეყნისადმი, სადაც სწავლობდა ანბანს, სწავლობდა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში.

როდესაც სსრ კავშირის მეთაური იყო, გორბაჩოვმა ააშენა ცენტრალიზებული დიქტატურა მკაცრი იერარქიის წესებით, რომლის სათავეშიც არ იდგა თვითონ, ვისაც შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა. გიგანტურმა აპარატმა დაიწყო პარტიიდან პრინციპული ადამიანების გამოდევნა, ვისაც უპრინციპო კარიერისტებით ცვლიდა, რამაც, უეჭველია, ზარალი მიაყენა სახელმწიფოს. **მაგრამ პოლიტიკური დაუნდობლობის მაგალითად ჩვენთან ძველებურად რჩება სტალინი, რომელმაც შეინარჩუნა ქვეყანა და არა გორბაჩოვი, რომელმაც იგი გაანადგურა!**

როგორც არ უნდა შევაფასოთ სტალინის ისტორიული როლი, ცხადია, მისი სახელი განუყოფელია საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ უნიკალური საზოგადოებრივი მოწყობის წარმოშობაში და ესაა მთავარი. სტალინი იყო და დარჩება სსრ კავშირში ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედად, სოციალისტური სახელმწიფოს თეორეტიკოსად და მის მშენებლად.

დიახ, სტალინის ისტორიული მემკვიდრეობა ახალი თაობების ინტერესს იწვევს, ის გავლენას ახდენს მათ შეხედულებებზე, თანამედროვეობის შეფასებებზე. აკრიტიკო ხელალებით ყველაფერი და ყოველივე, რაც დაკავშირებულია სტალინთან, მოახდინო ისტორიული სიმართლის ფალსიფიცირება, – სახიფათო წამოწყებაა. ეს იქნება მიუტევებელი შეცდომა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის აღზრდაში.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ პიროვნება, რომელიც სათავეში უდგას ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, მისი ხასიათი, ტემპერამენტი უზარმაზარ გავლენას ახდენს ისტორიის მსვლელობაზე. ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და ისტორიკოსმა ტომას კარლეილმა ჩამოაყალიბა მეტად მნიშვნელოვანი აზრი: „მსოფლიო ისტორია, იმის ისტორია, თუ რა ჩაიდინა ადამიანმა ამ ქვეყანაზე, არის, არსებითად, დიდი ადამიანების ისტორია, რომლებმაც იღვაწეს აქ, ამ მიწაზე. ისინი, ეს დიდი ადამიანები, კაცობრიობის ბელადები იყვნენ, განმანათლებლები ფართო გაგებით, ყოველივე იმის შემოქმედნი, რის განხორციელებასაც ადამიანთა მთელი მასა საერთოდ ცდილობდა“.

როსტისლავ მედინსკი,
გადამდგარი პოლკოვნიკი.

Литературная газета

◎ „მამა უნდა ვასახელო!“

ანასტასია გონჩაროვა ბენდუქიძე ყოფილა და... ქართულსაც სწავლობს...

კახა ბენდუქიძის კანონიერი მემკვიდრე მამის უნივერსიტეტებში თავისი იდეების განხორციელებას გეგმავს

ანასტასია გონჩაროვა ახლა უკვე კახა ბენდუქიძის ოფიციალური მემკვიდრეა. 2015 წლის 30 დეკემბერს მან ბოლო სასამართლო პროცესი მოიგო. როგორ გეგმავს მამის საძმიანობის გაგრძელებას, რა სახის ცვლილებების განხორციელებას აპირებს თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში, ამ და სხვა საკითხებზე ანასტასია „ოგზერვერს“ ესაუბრა.



— ჩემი პირველი შეკითხვა შეეხება სასამართლო პროცესს: მინდა გკითხოთ, დასრულდა თუ არა დავა?

— დიახ, როგორც იქნა! ეს ძალიან დამღლელი პროცესი იყო. ერთსა და იმავე დროს ჩვენ გვქონდა სასამართლო პროცესები ინგლისში, საქართველოსა და რუსეთში. ამასთანავე, პირადად ჩემთვის რაღაც უცნაური დრო იყო, დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში. მე კახას ვგავარ და ყველამ იცოდა, რომ მისი ქალიშვილი ვარ. თუმცა ამის დასამტკიცებლად მაინც დამჭირდა გარკვეული ოფიციალური დოკუმენტები. 30 დეკემბერს საქართველოს სასამართლომ საბოლოოდ მაღიარა კახა ბენდუქიძის ქალიშვილად, რაც გასული რთული წლის ძალიან კარგი დასასრული იყო. ახლა უკვე შესაძლებლობა მექნება თავისუფლად ჩავერთო მამაჩემის მიერ დაარსებული თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების საქმიანობაში.

— ფლობთ თუ არა წილს უნივერსიტეტებში?

— არა, უნივერსიტეტები ჩამოყალიბდა მამაჩემის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ცოდნის ფონდის“ მეშვეობით, ახლა მხოლოდ დამფუძნებლის კანონიერი მემკვიდრე ვარ.

— ზუსტად რის გაკეთებას გეგმავთ თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში?

— ჩემი უპირველესი ამოცანაა, დავეხმარო უნივერსიტეტებს და ვასახელო მამაჩემი. მე დავამთავრე ლონდონის „კინგს კოლეჯი“ (King's College of London), რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია, შესაბამისად, სურვილი გამიჩნდა, თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში ის იდეები განვახორციელო, რაც საჭიროდ დავინახე. მინდა გავაძლიერო ის საერთაშორისო კავშირები, რაც უკვე აქვს უნივერსიტეტს, ასევე, შევქმნა გაცვლითი პროგრამები და კურსები სხვადასხვა ენებზე. ჩვენი მიზანია, განვახორციელოთ არა მხოლოდ მამაჩემის მიერ დაწყებული პროექტები, არამედ შევქმნათ ინოვაციური პროგრამები. მაგალითად, კახამ ნულიდან დაიწყო კულინარიის აკადემიის ჩამოყალიბება, რაც სასოფლო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში არასდროს ყოფილა. ახლა ის სტუდენტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული კურსია. თუ კულინარიის კურსებზე დარეგისტრირებას აპირებთ, მომდევნო რეგისტრაცია ხელმისაწვდომი მხოლოდ 2016 წლის შემოდგომისთვისაა! ვინაიდან, მე თავად ვმუშაობ ონლაინ მარკეტინგის სფეროში, სურვილი მაქვს, ვიხილო ონლაინ მარკეტინგის სკოლა, რომელიც ასწავლის რეკლამირებას, გრაფიკას, ვებ-დიზაინსა და ა.შ.

— ონლაინ მარკეტინგის სფეროში კონკრეტულად რისი გაკეთება გიწევთ?

— ამჟამად ვმუშაობ სოციალური მედია-მარკეტინგის კომპანიაში „სოციალშარკს“ (Socialsharks), ჩვენ ვაკეთებთ ონლაინ რეკლამას და პოპულარიზაციას ვუწევთ სხვადასხვა ბრენდებს სოციალურ მედიაში. ვმუშაობთ ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა „ნაბეღლავი“, „ზუმერი“, „სვის კაპიტალი“, „რუსთავი-2“ და სხვა განვითარებადი ფირმები. იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ ენას ჯერ სრულყოფილად ვერ ვფლობ, მუშაობა ძირითადად საერთაშორისო მომხმარებლებთან მიწევს. საბედნიეროდ, სააგენტო „Socialsharks“ ჩეხეთის რესპუბლიკაშია დაარსებული, შესაბამისად, ბევრი ისეთი პროექტია, რომელზე მუშაობაც თავისუფლად შემიძლია.

ვგეგმავთ ჩვენი საქმიანობის გაფართოებასაც, აზერბაიჯანისა და უკრაინის ბაზრების ათვისებას, ვინაიდან ონლაინ სერვისების განსავითარებლად აქაც დიდი პოტენციალია.

— ანუ საქართველოში ონლაინ მარკეტინგის სფეროში დარჩენას აპირებთ?

— ვფიქრობ, საქართველოსთვის ონლაინ სერვისების განვითარების თვალსაზრისით კარგი პერიოდია. თუმცა ამჟამად ჩემთვის უფრო საინტერესო უნივერსიტეტებია და მსურს, მათ საქმიანობაში ბოლომდე ჩავერთო. საბოლოოდ, ეს შეიძლება გამოვიდეს ონლაინ მარკეტინგისა და უნივერსიტეტებში საქმიანობის კომბინაცია. მაგალითად, 2 თვის წინათ ჩემმა უფროსმა სოციალური მედიის სააგენტო „Socialsharks“-დან თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში ლექციები ჩაატარა, რასაც დიდი გამოხმაურება და დაინტერესება მოჰყვა. ახლა უკვე ვფიქრობთ, შევქმნათ ონლაინ მარკეტინგის კურსი ან ლექციების სერია, რომელიც მიეძღვნება ონლაინ ინიციატივებს. ეს ახალი და საინტერესო სფეროა საქართველოში, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ მარკეტინგის დარგი ძალიან რთულია სასწავლებლად, რადგან მუდმივად ინფორმირებული უნდა იყო ციფრულ სამყაროში მიმდინარე სიახლეების შესახებ. აღნიშნულ დარგში მოვლენები ისე სწრაფად იცვლება, რაც დღეს ახალია, ხვალ ის შეიძლება უკვე ძალიან ძველი აღმოჩნდეს. როცა მე ნიუიორკის უნივერსიტეტში ონლაინ მარკეტინგის კურსი გავიარე, ყველა ჩემი პროფესორი იყო დარგის სპეციალისტი და არა უბრალოდ ლექტორი. თუ უახლეს პრაქტიკას არ ფლობ, თითქმის ყველაფერი, რასაც ასწავლი, დრომოჭმული და ბიზნესისთვის უსარგებლო გახდება.

— რადგანაც განათლების პრობლემებზე ვსაუბრობთ, რა სირთულეებს ხედავთ საქართველოს განათლების სისტემაში?

— საქართველოში მხოლოდ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების შესახებ ვფლობ ინფორმაციას, შესაბამისად, ჩემთვის რთულია განვსაჯო და შევადარო ზოგადი სიტუაცია ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებში. შესაძლოა, მთლიანობაში ქართული უნივერსიტეტები სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსია. თუ ეს ასეა, ვფიქრობ, საქართველოს განათლების სისტემა უფრო მეტად ორიენტირებული უნდა გახდეს მიზანშეწონილ პრაქტიკაზე, სწავლება უნდა იყოს უფრო ხელშესახები. მაგალითად, როგორ დავიწყოთ ბიზნესი, რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ეს ბიზნესი, ან თუნდაც უკვე არსებული ბიზნესის რეალური შემთხვევების ანალიზი და კომპანიებისთვის სტრატეგიების შექმნა მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნება ბიზნესის სწავლის კუთხით. მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, „თუ გინდა ბიზნესის კეთება ისწავლო, საკუთარი ბიზნესი უნდა დაიწყო და შემდეგ გზადაგზა ყველაფერს ისწავლი“.

— აპირებთ თუ არა ქართულ პოლიტიკაში მოსვლას?

— ამჟამად ნამდვილად არა. თავდაპირველად ქართული ენა უნდა ვისწავლო, რომელიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის მაშინ, როცა უკვე 4 ენაზე ვლაპარაკობ! ამის შემდეგ ვნახოთ. როგორც საქართველოს მოქალაქეს, მინდა, რომ ქვეყანა წარმატებული იყოს. მამაჩემს სჯერდა, რომ განათლება საუკეთესო გზაა სახელმწიფოს შესაცვლელად — ძნელია, შეცვალო ხალხის მენტალიტეტი, როცა უკვე ჩამოყალიბებული აზრი აქვთ. თუმცა განათლების მეშვეობით შესაძლებელია ახალი ჰორიზონტებისა და თავისუფლად მოაზროვნე თაობის ჩამოყალიბება.

— იზიარებთ თუ არა მამის პოლიტიკურ ხედვას?

— ვფიქრობ, მამაჩემის პოლიტიკური ფილოსოფია ძალიან მარტივი იყო — ხალხი უნდა იყოს თავისუფალი რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამიტომ ძნელია მას არ დავეთანხმო. მას სჯერდა, რომ მთავრობა ბიზნესში ნაკლებად ჩართული უნდა ყოფილიყო, რაც გულისხმობს ნაკლებ გადასახადებსა და რეგულაციებს. ბიზნესში აკრძალვები ან საერთოდ არ უნდა იყოს, ან ძალიან ცოტა. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ალკოჰოლის გაყიდვა 23:00 საათიდან იკრძალება. ეხმარება თუ არა ეს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას? არა, მომხმარებელი წინასწარ ყიდულობს მას. ქმნის თუ არა ეს ბიზნესში პრობლემას? დიახ, რადგან ეს იწვევს შავი ბაზრის გაჩენას, კანონმორჩილი ბიზნესმენები კი თავიანთ კლიენტებს კარგავენ. ძალიან ბევრი უსარგებლო რეგულაციაა, რასაც უფრო მეტად ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. მამაჩემი ფიქრობდა, რომ ნაკლები რეგულაციები უკეთესია და მე მთლიანად ვეთანხმები მის აზრს. მამაჩემის მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული ეკონომიკის განვითარებასა და გონივრული კანონმდებლობის შემოღებას, საქართველომ 2003 წლის სტაგნაციიდან უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ეკონომიკური რეფორმების შედეგების შენარჩუნება.

გასულ თვეში კიევში ვიმყოფებოდი „ბენდუქიძის თავისუფალი მარკეტ ცენტრის“ გახსნაზე. ეს ორგანიზაცია ბიუროკრატიული ბარიერებისა და უსარგებლო რეგულაციების არიდების გზით ხელს უწყობს უკრაინის ეკონომიკას, მიაღწიოს ლიბერალიზაციას. ვფიქრობ, ეს მშვენიერი იდეაა, რომელიც არა მხოლოდ მამაჩემის მემკვიდრეობას აგრძელებს, არამედ მთელ ქვეყანას ეკონომიკური თავისუფლების მიღწევაში ეხმარება.

— როგორ შეაფასებდით საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას?

— ჩემი აზრით, ახლანდელი მთავრობა სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაში მოიკოჭლებს. მაგალითად, ვფიქრობ, გზები ძალიან მნიშვნელოვანია თბილისისა და მთელი ქვეყნისთვის, რადგან ის ტურისტული ქვეყანა ხდება — საქართველო დასახელდა „სი-ენ-ენის“ (CNN) მიერ რეკომენდებულ ქვეყნებს შორის, რომელსაც უნდა ეწვიოთ 2016 წელს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას იფიქრებენ ტურისტები, როდესაც თბილისის აეროპორტიდან სხვადასხვა მიმართულებით გაემგზავრებიან? ჩემი აზრით, არსებული გზები სტანდარტებთან შეუსაბამოა. მე მიყვარს თბილისი, მაგრამ მინდა ისეთ ქალაქში ვიცხოვრო, სადაც გარეთ გავალ და გზებზე სიარულით ფეხებს არ მოვიმტვრევ.

— თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს მთავრობის სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები?

— იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ეკონომიკის ზრდას, საქართველოს სჭირდება ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორებიცაა, მოგების გადასახადის გაუქმება, საშემოსავლო გადასახადის შემცირება, დღგ-ს შემცირება და ა.შ. ძირითადად, რაც უფრო ნაკლებია გადასახადები, მით მეტია ხალხის ჯიბის ფული.

ეკონომიკური მდგომარეობა, სამწუხაროდ, უარესდება — ლარის კურსი არამყარია. მთლიანობაში, ქართულ ეკონომიკას სჭირდება სახელმწიფო რეგულირების უფრო მეტად შეზღუდვა: გადასახადების შემცირება, გაცემული ლიცენზიების რაოდენობის შემცირება, მთავრობის დანახარჯების შემცირება (ძალიან მნიშვნელოვანია თავიდან იქნეს აცილებული საჯარო მოხელეებისთვის დანამატებისა და პრემიების გაცემა). ეს რეფორმები გამოიწვევს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქართული ეკონომიკის აყვავებას.

ესაუბრა

თამარ ჩაფიძე

observer.com.ge

დედამიწის ზურგზე

უკრაინაში ენერგოსისტემაზე წინასაახალწლო შეტაკებაში ეძვი შეიტანეს ჰაკერებზე რუსეთიდან

ექსპერტები, რომლებმაც შეისწავლეს კომპიუტერული კოდი, რომელიც გამოიყენეს შეტევის დროს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგი იქნა გამოყენებული შეტევებში ნატოსა და ევროპულ მთავრობათა სისტემებზე 2013 წელს. ორივე თავდასხმაში ბრალი დასდეს ჰაკერების ჯგუფს, რომლის ინტერესიც, როგორც დასავლეთში აღნიშნავენ, „ემთხვეოდა რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს“.

* * *

ექსპერტებს ეშინიათ, რომ ისლამურმა სახელმწიფომ ისწავლა რაკეტების შექმნა სამგზავრო თვითმფრინავების გასანადგურებლად

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციით, მეცნიერებმა რაკეში „ჯიხადის უნივერსიტეტიდან“ შეძლეს შეექმნათ რაკეტები თბოსახურავებით, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ თვითმფრინავების გასანადგურებლად, აგრეთვე ავტომობილები დისტანციური მართვით, რომლებსაც შეუძლიათ გვერდი აუარონ მეთვალყურეობის რთულ სისტემებს და გამოყენებული იქნენ ტერორისტული აქტების განსახორციელებლად.

* * *

მერკელმა მოითხოვა მკაცრი პასუხი კიოლნში ძალებზე ჯგუფური თავდასხმისათვის

დაახლოებით 90 ქალმა მიმართა სამართალდაცვით ორგანოებს განცხადებით სექსუალური მაძიებლობის შესახებ, რაც ახალი წლის ღამით მოხდა კიოლნის სარკინიგზო სადგურის წინა მოედანზე. თავდასხმაში მთვრალი მიგრანტები — დაახლოებით ათას კაცამდე — მონაწილეობდნენ. ორ ასეულამდე პოლიციელებმა ვერ შეძლეს სიტუაცია აეყვანათ კონტროლზე.

* * *

ჩრდილოეთი კორეის მიწისძვრაში ბირთვული გამოცდის შედეგები დაინახეს

მიწისძვრის ეპიცენტრი იმყოფებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი ბირთვული პოლიგონის პანგირის მახლობლად. საინფორმაციო სააგენტო, სამხრეთ კორეის ამინდის სამსახურზე მითითებით, იტყობინება „ხელოვნური მიწისძვრის“ ნიშნების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა იუნ ბენ სემ მოიწვია სასწრაფო თათბირი „სიტუაციის გადაუდებელი შემოწმებისათვის“.

* * *

კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განაცხადა წყალბადის ბომბის წარმატებული გამოცდის შესახებ

ეს გამოცდა, „რომელმაც არ მოახდინა ნეგატიური ზემოქმედება ეკოლოგიურ ვითარებაზე“, მოეწყო 6 იანვარს, 10 საათზე ადგილობრივი დროით, „კორეის შრომითი პარტიის სტრატეგიული კურსის შესაბამისად“. შედეგად კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას „აქვს ყველაზე ძლიერი შეკავების ბირთვული ძალები“.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თამაზ თავართქილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზ თავართქილაძე (პირადი №61001003588), მის: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, ბინა 6;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ ბათუმი, ასათიანის ქ. №79/81, სართული 2, ბინა 6 (საკადასტრო კოდი: 05.28.38.029.01.006).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 58058,70 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 8856,27 ლარს).

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 8 იანვარი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 18 იანვარი, 11:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP26992616;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 269926
6. **მოვალე:** თამარ თავართქილაძე (პირადი №61001021550), ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP26992616; ლოტის ნომერი: 269926).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 15 იანვარს, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ განმეორებით აუქციონს ავთანდილ ლაღაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ ლაღაძე (პირადი №61001053669), ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №9, ბინა №48;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №9 (საკადასტრო კოდი: 05.24.08.004.01.504);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14175.78 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 18 იანვარი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ავთანდილ ლაღაძე (პირადი №61001053669), ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №9, ბინა №48.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 18 იანვარს, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მაია გურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია გურაშვილი (პ/ნ 40001002177), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, პირველი სართული, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 01.20.01.123.020.01.007).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 6359,43 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 21 იანვარი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** დავით ანდრიაშვილი (პ/ნ 14001005933), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 21 იანვრის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ცხოვრების ხვეულები

ხანძარმა ადამიანის სიცოცხლე შეინირა

კპსპ-ის რაიონის სოფელ ლამისყანაში ხანძარს 55 წლის ქალბატონი ემსხვერპლა. ცეცხლი საცხოვრებელ სახლს ღამით მაშინ გაუჩნდა, როდესაც ნუნუ კობაური სახლში მარტო იმყოფებოდა. მეზობლების თქმით, სახლს ცეცხლი, სავარაუდოდ, შეშის ღუმელიდან მოეკიდა. ხანძრის გაჩენის მიზეზებს გამოძიება სწავლობს. „გარდაცვლილს ეპილეფსია ჰქონდა. ღუმელთან დაეცა და დაიწვა. ცეცხლი, სავარაუდოდ, ღუმელიდან გაჩნდა“, – აცხადებენ ნუნუ კობაურის მეზობლები.

201 აბი ექსტაზი და დაკაპიფებული ნარკორეალიზატორი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსი მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დაიკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 201 აბი ე.წ. „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 60,1192 გრ მდმა-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს) შეიცავს. ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 1 აბი და აბის ნატეხები, რომელიც 0,0180 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ალექსი მ-ს ბუპრენორფინის და მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ერთმანეთს 6 ავტომანქანა შეეჯახა

სამშაბათს საღამოს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევისას 6 ავტომანქანა შეეჯახა ერთმანეთს. შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი არასრულწლოვანია. ბავშვები რუსეთის მოქალაქეები არიან.

არასრულწლოვნები სხეულის ზედაპირული დაზიანებებით იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ამჟამადაც მკურნალობენ. „უფროსი ბიჭის მდგომარეობა ამ ეტაპზე არის სტაბილიური. არანაირი ძვლოვანი დაზიანება არ აღენიშნება. არც შინაგანი ორგანოების მხრივ დაზიანებები არ არის. მხოლოდ ზედაპირული ტრავმაა. რაც შეეხება, უმცროს გოგონას, ასევე ნევროლოგიური თვალსაზრისით მდგომარეობა ნორმალური არის, თუმცა აღინიშნება დაზიანებები მარცხენა მტევნის და მუცლის არეში და, შესაბამისად, შემდგომი ქირურგიული მეთვალყურეობა ესაჭიროება“, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში კლინიკის ექიმი ნანა ყავლაშვილი.

ბრაგედია ნორიოში

სოფელ ნორიოსთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა 6 ადამიანი. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. შემთხვევა 3 იანვრის ღამეს მოხდა.

◎ ვინც ძვეყანა ასახელა

ნინოს წლიწადი

ჩემპიონი ბათუმიდან

2015 წელი გამორჩეული იყო ბათუმელი დიდოსტატის ნინო ბაციაშვილის კარიერაში — მან, მართლაც, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: პირველად მოიგო საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, ქვეყნის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, მეოთხე დაფაზე ბრინჯაოს მედალი ხვდა, ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატებში თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაიმსახურა, ევროპის საკლუბო პირველობაზე ბათუმის „ნონასთან“ ერთად მეორედ გახდა ჩემპიონი, თავის დაფაზე „ოქრო“ ერგო, ევროპის გუნდურ ჩემპიონატში კი საქართველოს ნაკრებთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა. ცხადია, ასეთ შედეგს ნებისმიერი მოჭადრაკე ინატრებდა.

— ბოლო ორი წელიწადია, ბევრს ვმეცადინეობ, — გვითხრა ნინო ბაციაშვილმა. — განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჩემთვის შარშან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ მოწყობილი საწვრთნელი შეკრებები ქალთა ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის წინ. დამიგროვდა საკმაო თეორიული ცოდნა და გამოცდილება, რასაც დიდად ვუმადლი ბატონ ელიზბარ უბილავას, დავით ჯოჯუას და თორნიკე სანიკიძეს. ჩაქვში ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ფორტუნამაც შემიწყო ხელი. პირველი პარტიები კარგად რომ წამივიდა, საკუთარ თავს ვუთხარი, მედლებისთვის ბრძოლა შეიძლება-მეთქი.

— ცხრა ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობდი. ნაადრევად ხომ არ ირწმუნე ჩემპიონობა?

— არა, ასე ნამდვილად არ მიფიქრია, რადგან ისეთი გამოცდილი დიდოსტატი, როგორიც ნატალია ჟუკოვაა, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამომრჩებოდა და ზურგს უკან მის სუნთქვას ვგრძნობდი. საგულისხმოა, რომ მან 2000 წელს ბათუმში მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. შარშან ისიც ახლოს იყო მიზანთან და ვიცოდი, შანსის გამოთვის დიდი წარმატებაა და უდიდესი იმედგაცრუებაც, რადგან 9 ტურის შემდეგ ძალიან ახლოს ვიყავი მიზანთან და შანსი ვერ გამოვიყენე. უკრაინელ დიდოსტატთან მარცხის მერე ძალები მოვიკრიბე და ბოლო ტურის პარტიაში რუს გორიაჩკინას ვძლიე. ოქროს მედლის ბედი მაინც ჟუკოვა-ელინა დარია, რადგან ისეთი გამოცდილი

ყენებას შეეცდებოდა. მე-10 ტურში უკრაინელს დავუპირისპირდი. მთელი ცხრა ტურის განმავლობაში თორნიკე სანიკიძე მამეცადინებდა. სწორედ მე-10 ტურის წინ ის უცხოეთში გაემგზავრა სათამაშოდ, თუმცა, დამიტოვა გამოსაყენებელი ვარიანტები, ზოგიც ინტერნეტით გამომიგზავნა. მე-9 ტურის შემდეგ ესპანეთიდან საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ელიზბარ უბილავა შემეხმიანა და სკაიპით მამეცადინა, რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ, მეორე დილითაც იგივე განმეორდა. ბევრი ვივარჯიშე, მაგრამ პარტიის მსვლელობისას ყველაფერი დამავიწყდა. ნერვიულობასა და ფსიქოლოგიურ დატვირთვას ისიც დაემატა, რომ გამოძინება ვერ მოვასწარი. ჩემ გვერდით მცხოვრებ თურქებს საფულე დაეკარგათ. დილით პოლიციელთა ხმაურმა გამომაღვიძა, მერე კი ვერაფრით დავიძინე. შეიძლება, ყველაფერი ეს მიზეზია, მთავარი ის არის, რომ ჟუკოვასთან შეხვედრისას ძალიან ცუდად ვითამაშე, დებიუტიც ავურიე, თავი არ მუშაობდა. ნატალიამ პარტიის მსვლელობისას ჩემი სისუსტეები გამოიყენა და მომიგო. ევროპის ჩემპიონატის ვიცეჩემპიონობა ჩემთვის ასევე ნამდვილად არ მიფიქრია, ეს ნამდვილად ოქროს მედალი ვიყავი. ბოლო ტურში შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს ვძლიე. საბოლოოდ 8 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გავიყავი, კოეფიციენტით მესამე ადგილი მერგო.

ნინო ბაციაშვილი 1987 წელს დაიბადა ბათუმში. ჭადრაკის თამაში დაიწყო ხუთი წლისამ კახა კვიჟინაძის ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში ისიდორე გოგიშვილი და ლეონიდ ნეურონოვი ავარჯიშებდნენ. ახალგაზრდებში საქართველოს მრავალგზის პრიზიორმა ქალთა ეროვნულ ჩემპიონატებში 2012 წელს მეორე, მომდევნო წელს მესამე, შარშან კი პირველი ადგილი დაიკავა. 2014 წელს ბათუმის „ნონას“ შემადგენლობაში ჯერ ევროპის, შემდეგ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატები მოიგო.

— ნინო, შარშან მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიე. ყველაფერ ამას თეორიულთან ერთად სოლიდური ფიზიკური მომზადებაც სჭირდებოდა.

— გეთანხმებით. ცოდვა გამხელილი სჯობს და გეტყვით, რომ ფიზიკური წვრთნა ჩემთვის დიდი წამებაა, რადგან ზარმაცი ვარ. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებისას გადაწყობა მომიხდა. ბორჯომში საწვრთნელი შეკრებისას მე და ლელა ჯავახიშვილმა უშუს სექცია აღმოვაჩინეთ და დღეში ორჯერ ხალისით მივდიოდით სავარჯიშოდ. ხუმრობა-ხუმრობაში კარგი წრთობა გამოგვივიდა.

— ყატარის ტურნირზეც მინდა გკითხოთ...

— მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატებმა მოიყარეს თავი. ჩემი საბოლოო შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ იყო დაუვიწყარი მომენტიც: ვფიქრობდი, რომ პირველ ტურში, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონ მაგნუს კარლსენს ან ვლადიმირ კრამნიკს შევხვედროდი, მაგრამ მათთან ყაიმის მიღწევაზე ვერც ვიოცნებებდი. საერთოდ, მაგნუსთან თამაში დიდი ბედნიერებაა, ყატარში მასთან მიღწეული ზავი კი — ორმაგი ბედნიერება. ვინ იცის, კიდევ სად მეღირსებოდა მასთან დაპირისპირება. თავიდან მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში — დებიუტშივე არ წამეგო. საჭადრაკო დაფასთან რომ დავჯექი, მერე უკვე სვლებზე ვფიქრობდი. უბრალოდ, ვთამაშობდი და, როგორც აღმოჩნდა, ურიგოდ არ გამომსვლია.

— როგორ ფიქრობ, რასაც მიაღწიე, ეს შენი შესაძლებლობების ჭერია?

— რა ვიცი... არა მგონია. 2014 წელს პლოვდივში ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილით 2016 წლის მსოფლის ჩემპიონატის საგზური რომ მოვიპოვე, ვიფიქრე, ოცნების მწვერვალს მივაღწიე-მეთქი. აბა, რას წარმოვიდგენდი, ერთი წლის შემდეგ კონტინენტის პირველობაზე მეორე ადგილს თუ დავიკავებდი, თან გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდებოდი. დავრწმუნდი, რომ მეტის მიღწევა შეიძლება. ეს ყველაფერი ჰორიზონტს ჰგავს. მიდიხარ წინ და იქამდე მანძილი კი არ მცირდება. ასე რომ, წინსვლა დაუსრულებლად შეიძლება. მთავარია, ძალა, ენერგია და მონდომება გეყოს.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ჩემმა რეიტინგმა შარშან 2500-ს მიაღწია, წლეულს მის გაზრდას შევეცდები. ვაუებში დიდოსტატის ბალი მაქვს და მინდა, ეს წოდებაც მოვიპოვო. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაა, რომელსაც ბაქო უმასპინძლებს. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ საქართველოს ჩემპიონატზე კარგად გამოვიდე და ნაკრებში ადგილი დავიბევრო. ოლიმპიადის პარალელურად მსოფლიოს და ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატებისთვისაც მოვემზადები.

ვაჟა დანელია

სურათებზე: ნინო ბაციაშვილი, ნინო ბაციაშვილი და მაგნუს კარლსენი ყატარის ტურნირზე..

◎ ჭადრაკი

საახალწლო რეიტინგი

წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. გთავაზობთ ქალვაჟთა საუკეთესო ათეულებისა და ჩვენებურთა მაჩვენებლებს:

ქალები

ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2673), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2585), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2554), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2550), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2548), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2537), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2535), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2529), პია კრამლინგი (შვედეთი, 2523)... 16. ბელა ხოტენაშვილი (2502), 19. ლელა ჯავახიშვილი (2486), 20. ნინო ბაციაშვილი (2485), 38. სალომე მელია (2452), 58. ნინო ხურციძე (2414), 72. მერი არაბიძე (2390), 92. სოფიკო გურამიშვილი (2374).

ვაჟები

მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2844), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2801), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2798), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2792), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2787), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2785), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2784), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2783), უესლი სო (აშშ, 2773)... ბაადურ ჯობავა (2673).

ნანა ირემაძე

გვირგვინის 16 მაძიებელი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 15 იანვარს დაიწყება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 75-ე ეროვნული ჩემპიონატი. მედლებისთვის ნოკაუტსისტემით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 16 წარმომადგენელი იბრძოლებს. ესენი არიან: მიხეილ მჭედლიშვილი (2626), ლევან ფანცულაია (2598), დავით ჯოჯუა (2579), ლუკა პაიჭაძე (2564), მერაბ გაგუნაშვილი (2541), ნანა ძაგნიძე (2535), დავით მაღალაშვილი (2524), კონსტანტინე შანავა (2521), თორნიკე სანიკიძე (2513), ლელა ჯავახიშვილი (2486), დავით ბენიძე (2466), გიგა ყუფარაძე (2444), ირაკლი ბერაძე (2427), გიორგი სიბაშვილი (2364), ნოე თუთისანი (2356), ბაჩანა მორჩიაშვილი (2340). თითოეულ რაუნდში მოჭადრაკეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. ძირითადი ორთაბრძოლების ფრედ დასრულების შემთხვევაში გამარჯვებულს ტაიბრეიკები გამოავლენს.

ეროვნულ ჩემპიონატზე რვა საუკეთესო ფულადი პრიზებითაც დაჯილდოვდება. ჩემპიონი 7.500 ლარს მიიღებს, მეორეადგილოსანს - 5.500, ხოლო მესამე ადგილზე გასულს 4.000 ლარი შეხვდება, მეოთხე ადგილზე 2.500 ლარია დაწესებული, ხოლო V-VIII ადგილებზე გასულთ 500-500 ლარი შეხვდებათ.

გივი გაგუა

◎ სამთო თხილამურები

პირველ ეტაპს დიდველმა უმასპინძლა

ბაკურიანში სამთო მოთხილამურეთა საქართველოს 2015-2016 წლების თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა. გიგანტურ სლალომს (1000 მეტრი, 40 კარი) დიდველის ტრასამ უმასპინძლა. გამარჯვებულები და პრიზიორები, ტრადიციულად, სამ ასაკში გამოვლინდნენ.

გოგონები

2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.13,34), 2. ანუკი ჩოგოვაძე (აჭარა, 1.36,99). **2000-2001 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 2.19,27), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 2.23,64), 3. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 2.28,71). **1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. მარიამ ჭკადუა (თბილისი, 2.17,90), 2. სალომე კვიციანი (თბილისი, 2.19,71).

ვაჟები

2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.12,52), 2. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.14,52), 3. ნიკოლოზ გამცემლიძე (თბილისი, 1.18,09). **2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 2.10,52), 2. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 2.11,67), 3. ლუკა გოშთელიანი (სვანეთი, 2.19,33). **1999 წ.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 2.07,77), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 2.13,51), 3. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 2.14,72).

რამაზ პატარაია

◎ ჩოგბურთი

მედალოსნები ევროთასებზე მოსინჯავენ ძალებს

თბილისში დამთავრდა 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 70-მდე მოზარდი მონაწილეობდა. ჩემპიონებმა და პრიზიორებმა ევროპის ზამთრის თასების გუნდურ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ეს შეჯიბრება კი ორ ეტაპად გაიმართება.

12-წლამდელთა საქართველოს პირველობის ფინალში გიორგი



ვაჩნაძემ ნიკა ბიძინაშვილი დაამარცხა — 6:3, 6:1 და ჩემპიონობა დაიმსახურა, მესამე ადგილზე საბა კილაბერიძე გავიდა, რომელმაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში გიორგი ხაჭაპურიძეს აჯობა — 6:0, 6:2. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ანასტასია კობიძე, 2. სოფიო ზეიკიძე, 3. ნუცა ცინცაძე.

ევროპის თასების საკვალიფიკაციო ეტაპზე ბიჭების ნაკრები 29-31 იანვარს ანკარაში ბულგარეთის, ხორვატიის, დანიის, ჩერნოგორიის, ჰოლანდიის, რუმინეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს დაუპირისპირდება. გოგონები კი თურქულ მერსინში ბულგარეთის, მოლდოვის, ჰოლანდიის, სლოვენიის, თურქეთისა და უკრაინის ჩოგბურთელებს გაუწევენ მეტოქეობას.

14-წლამდელთა პირველობის ფინალურ ოთხეულში მედლები წრიული სისტემით გათამაშდა. გოგონებში თამარ გაგოშიძემ, ია სალუქვაძემ და დალიდა ქადარიამ ორ-ორი ორთაბრძოლა მოიგეს. ურთიერთშეხვედრების შედეგების გათვალისწინებით საპრიზო ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა. 5-7 თებერვალს ისინი საკვალიფიკაციო ეტაპზე სტამბოლში (ბულგარეთი, ფინეთი, საქართველო, გერმანია, იტალია, ჩერნოგორია, ესპანეთი, თურქეთი) ითამაშებენ.

ბიჭებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლაშა-გიორგი კიკვიძე, რომელმაც ზედიზედ სძლია ცოტნე ძიმისტარიშვილს (4:6, 6:4, 6:3), ბოგდან ბათნიძეს (6:2, 6:3) და ნიკოლოზ ამაშუკელს (6:2, 6:0). მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ძიმისტარიშვილი და ბათნიძე გავიდნენ. ეს სამეული 5-7 თებერვალს ყაზანში (რუსეთი, ავსტრია, ფინეთი, საქართველო, გერმანია, ლატვია, სერბეთი) გაარკვევს მეტოქეებთან ურთიერთობას.

16-წლამდელთა პირველობაზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. ანა მაქაცარია, 2. ანა შანიძე, 3. მარიამ დალაქიშვილი; **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ დავლიანიძე, 2, დავით ჭელიძე, 3. საბა ფურცელაძე. **გოგონათა** ნაკრები იზმირში (ბულგარეთი, საქართველო, იტალია, რუმინეთი,

სლოვაკეთი, შვეიცარია, თურქეთი), ვაჟთა გუნდი კი სტამბოლში (ბულგარეთი, ხორვატია, საქართველო, დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი, შვედეთი, თურქეთი) იბრძოლებს ფინალური ეტაპის საგზურებისთვის.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: ნიკოლოზ დავლიანიძე; ანა მაქაცარია.

ორნი თურქულ კორტებზე

თბილისელები — ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ჩაებნენ. გორგოძემ სტარტზე ავსტრიელ ივანა ჰორვატს მოუგო — 6:2, 6:1, ქვაცაბაიამ ადვილად ჩამოიშორა გზიდან რუსი მარია ზოტოვა — 6:2, 6:1. წყვილებში ჩვენებურები ტურნირის რეიტინგფავორიტები არიან. პირველ წრეში მათ მასპინძლები — მუაზეზ დემირჩი და ესენ კოკჩე დაამარცხეს.

საგულისხმოა, რომ შარშან წლის მიწურულს გორგოძემ ანტალიაში 10.000-იან ტურნირში გაიმარჯვა და იქ მოპოვებული ქულებით მსოფლიო კლასიფიკაციაში 19 საფეხურით დააწინაურა. განახლებულ რეიტინგში ქართველთა მაჩვენებლები ასეთია:

ერთეულები. 231 (222). სოფიო შაფათავა (216), 352 (371). ეკატერინე გორგოძე (109), 380 (380). სოფიო ქვაცაბაია (97), 469 (471). მარიამ ბოლქვაძე (63), 657 (657). ოქსანა კალაშნიკოვა (30), 775 (776). თინათინ ყავლაშვილი (20), 1104 (1104). თამარ ჭალაგანიძე (7), 1210 (1211). ანა შანიძე (4).

წყვილები. 70 (70). კალაშნიკოვა (1080), 138 (138). შაფათავა (492), 190 (189). გორგოძე (349), 360 (359). ქვაცაბაია (141), 678 (677). ბოლქვაძე (45), 780 (779). ყავლაშვილი (30), 1112 (1111). ახალკაცი (11), 1112 (1111). შანიძე (11), 1183 (1186). ჭალაგანიძე (9).

ლაშა დიდია

◎ ტრაგედია

ზვავმა სპორტსმენის სიცოცხლე იმსხვერპლა

28 წლის სნოუბორდისტი ნუგზარ დიაკონაშვილი ბაკურიანში მთიდან წამოსულ მცირე ზვავში მოჰყვა და ადგილზე გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, დიაკონაშვილი ზვავის ჩამოწოლის დროს თხილამურებით სრიალებდა. უბედური შემთხვევა კოხტა გორასა და დიდველს შორის მოხდა. მაშველებმა რამდენიმესაათიანი ძებნის შედეგად სნოუბორდისტი გარდაცვლილი იპოვნეს.

ნუგზარ დიაკონაშვილი სნოუბორდის ფედერაციის ბაკურიანის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ის 2015 წლის საქართველოს სნოუბორდკროსის ჩემპიონი იყო. დიაკონაშვილი 2018 წლის კორეის ზამთრის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა.

◎ ღირს დაფიქრებად!

ყველა წინასწარმეტყველებას უნდა ვენდოთ?

2016 წლის პროგნოზები

გაისად კრიზისი ფსკერზე დაეშვება; დავიწყებთ ზრდას;

ევროპას სერიოზული გამოცდები ელოდება — ლიდერებისა და საზღვრების შეცვლა. მთავარია, რომ ხელისუფლებაში ახალი ჰიტლერი არ მოვიდეს.

რა თქვა ვანგამ?

რაც უფრო საგანგაშოა დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მით უფრო მეტი ყურადღებით ვშიფრავთ დატოვებულ წინასწარმეტყველებებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა „გახსნეს“ ცნობილი ბულგარელი წინასწარმეტყველის ვანგას პროგნოზები. ისინი ავრცელებენ მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ 2016 წელს მუსლიმანური ექსტრემისტები ხელში ჩაიგდებენ ევროპას და გააჩაღებენ დიდ ომს, რომ 2016 წლის ბოლოსათვის ძველი სამყარო შეწყვეტს არსებობას ჩვენთვის ჩვეულებრივი სახით და გადაიქცევა „გაუკაცრიელებულ მიწად“. გარკვეულ მომენტში ისლამისტები ქიმიურ იარაღსაც კი გამოიყენებენ, ყველაფერი კი დასრულდება ხალიფატის შექმნით 2043 წელს. მისი ცენტრი გახდება რომი (შესაძლოა, ვანგას მხედველობაში ჰქონდა არა რომი, არამედ ვატიკანიც კი).

„სირია დაეცემა გამარჯვებულის ფეხებთან, მაგრამ გამარჯვებული აღმოჩნდება არა ის“, — მოჰყავს ერთ-ერთ გაზეთს წინასწარმეტყველის სიტყვების ციტირება. ამას გარდა, ბრიტანელმა ჟურნალისტებმა (მათ კვალდაკვალ კი ამერიკელებმაც) გაიხსენეს კიდევ ზოგიერთი მისი წინასწარმეტყველება: ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნება შავკანიანი პრეზიდენტი, და ის იქნება ამ ქვეყნის უკანასკნელი პრეზიდენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანგას ჰქონდა ბევრი სხვა წინასწარმეტყველება და ძალიან ბევრი მათგანი არ განხორციელებულა. მაგალითად, 2003 წლისთვის ის „განსაზღვრავდა“ ქვეყნიერების დასასრულს: „დედამიწა შემობრუნდება მზისგან. სადაც იყო სიცხე, იქ იქნება ყინვა, ბევრი ცხოველი განადგურდება. 2008 წელს კაცობრიობა, მისი აზრით, უნდა გათავისუფლდეს ონკოლოგიური დაავადებებისაგან, მეცნიერები გამოიგონებენ წამალს, რომელიც ბევრ რკინას შეიცავს. 2010 წლისთვის კი ბულგარელმა წინასწარმჭვრეტელმა ივარაუდა მესამე მსოფლიო ომის დაწყება, თანაც იგი უნდა დამთავრებულიყო ჯერ კიდევ 2014 წლის ოქტომბერში. ამ გრანდიოზული კატაკლიზმის დროს ელოდებოდნენ ბირთვული, შემდეგ კი ქიმიური იარაღის გამოყენებას.

„უნდა ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რომ ისეთი ნათელმხილველებიც კი, როგორიც ვანგა იყო, ზოგჯერ ცდებიან, — იღიმის ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერი სარიგუზელი. — დიახ, საგანგაშო დროში ხალხი მართლაც იწყებს დაინტერესებას წინასწარმეტყველებით — მათ ასე უნდათ თავის დამშვიდება. თუ წინასწარმეტყველება მართლაც ცუდია, შეიძლება თქვა: ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული, ჩემზე არაფერია დამოკიდებული, მე არ შემიძლია გავლენა მოვახდინო სიტუაციაზე. თუ პროგნოზი გვპირდება სიტუაციის გაუმჯობესებას, მაშინ განწყობილებაც გაუმჯობესდება! და კიდევ ერთი მომენტი: თუ წინასწარმეტყველება სრულდება, ყველა მის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობს. განუხორციელებელს კი არავინ იხსენებს“.

რას უნდა ველოდოთ მაიმუნისგან?

„ვფიქრობ, რომ ბევრ რამეს ვანგას წინასწარმეტყველებებში იგონებენ თავად ჟურნალისტები. ამ შემთხვევაში მათ აიღეს მისი რამდენიმე პროგნოზი სხვადასხვა წლებზე და გააერთიანეს ერთ წინასწარმეტყველებაში, — ამბობს ასტროლოგი ალექსანდრ ზარაევი. — თუმცა არსი გადმოცემულია სწორად. ვანგა აღნიშნავს, რომ 2016 წელი იქნება არაჩვეულებრივი. იქნება მუსლიმანური სამყაროს ბრძოლა დასავლეთთან. ამერიკელი ნათელმხილველი ედგარ კეისი ამბობდა, რომ ერთიანი ევროპის ნაცვლად ხედავს კულტურის გათიშულ კუნძულებს. ასტროლოგია ადასტურებს ამ პროგნოზებს. მაგრამ ისინი შეეხება არა მხოლოდ 2016 წელს. ეს პერიოდი 2011 წლის მარტში დაიწყო, როდესაც ურანი შევიდა ვერძის ნიშანში, ხოლო 2018 წელს კი დამთავრდება“...

2016 წელი არის ცეცხლოვანი მაიმუნის წელი, და იგი უნდა გახდეს ძალიან დინამიკური, — ამტკიცებს ზარაევი. — მაიმუნის წელიწადი ყოველთვის იძლევა ბიძგს ტრადიციებისა და განწყობათა შეცვლისათვის. ცეცხლის სტიქია უმატებს რევოლუციურ განწყობილებებს. მაგალითად, ცეცხლოვანი მაიმუნის წინა წელი 1956 წელს იყო. იგი აღინიშნა ანტიკომუნისტური პროტესტებით უნგრეთსა და პოლონეთში, რამაც აიძულა სსრკ კავშირი, განეხორციელებინა უფრო მოქნილი პოლიტიკა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. 1957 წელს კი მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდებისა და სტუდენტთა ფესტივალი. დაიწყო „დათბობა“.

2016 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან ოქტომბრის დასაწყისამდე რუსეთში შესაძლებელია რაღაც გატაცებანი. კონფლიქტმა უკრაინაში შეიძლება იფეთქოს ახალი ძალით. ხელისუფლებისთვის ეს იქნება შემოწმება სიმყარისათვის. III კვარტალში იქნება კრიზისის, ეკონომიკური დაცემის ფსკერი. სამაგიეროდ, ოქტომბერ-ნოემბრიდან დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. ნავთობის ფასიც მაღლა წავა.

აი ევროპას კი უფრო სერიოზული გამოცდები ელოდება, ევროკავშირის დაშლის პროცესი მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო: მაშინ სატურნი შევიდა მშვილდოსნის ნიშანში, იუპიტერი კი — ქალწულის ნიშანში. ეს ნიშნავს კონფლიქტს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც შედეგი, შესაძლებელია კონსტიტუციებისა და საზღვრების, იმ პრეზიდენტებისა და მთავრობათა შეცვლა, რომლებიც არ შეესაბამებიან საზოგადოების მოთხოვნებს. ვფიქრობ, 2016 წელს ზოგიერთი ევროპელი ლიდერი დაკარგავს თავის ავტორიტეტს. გაჩნდება მთელი რიგი ნაციონალისტური მოძრაობები, რომლებიც აიძულებენ საზოგადოებას, ეძებოს განვითარების ახალი გზები. აი კიდევ ერთი პარალელი წარსულთან. 1932 წელიც მაიმუნის წელიწადი იყო. მაშინ ევროპამ ვერ შენიშნა საფრთხე, და 1933 წელს ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა“.

ამრიგად, 2016 წელს არაფრით არ შეიძლება ვუწოდოთ მშვიდი. იგი შეარყევს ეთნოსებსა და მთელ ქვეყნებს. მაშასადამე, ყველა ჩვენგანმა უნდა „მოიმარაგოს“ არა მხოლოდ მოთმინება, არამედ ჯანსაღი აზრიც.

დმიტრი ვლადიმიროვი

Аргументы и Факты

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

კი გირჩევენ, მაგრამ თქვენი საქმისა თქვენ იცით!

სამუდამოდ ამოიგდე ტვინიდან!

ახალ წელს ყველა ჩვენგანი სასწაულს ელოდება, მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ თავადაც შეგვიძლია შევისრულოთ ოცნებები. ყველაფერი შორს რომ არ გადავდოთ და არ გადავტვირთოთ ცხოვრება პირველი დღეებიდანვე, გთავაზობთ 14-პუნქტიან სიას, რომლის მიხედვით:

1. ამოიგდეთ თავიდან აზრი, რომელიც გაიძულებთ, ეჭვი შეიტანოთ საკუთარ ძალებში. ყველაფერი თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული – ახლა არის სწორედ ის დრო, რომ ეს შევიმეცნოთ.

2. ნულარ ელოდები მოწონებას. ერთი მხრივ, თითოეული ჩვენგანისთვის ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი რამაა, მაგრამ, მეორე მხრივ – იქნებოდა სისულელე ვეკითხებოდეთ გარშემომყოფებს ჩვენს ამა თუ იმ საქციელზე რაიმე საბაბით თუ უიმისოდ. სანამ ვგრძნობთ ჩვენს პოტენციალს და ვხედავთ, რისი მიღწევაც მოვასწარით, არ ღირს, ვეძებოთ მოწონება, ყველაფერს ჩვენ თვითონ გავართმევთ თავს, სრული სიცხადით.

3. დაუტოვე წარსულს ის საქციელი, რითაც დიდად არ ამაყობ. რა აზრი აქვს, განიცადო ის, რისი შეცვლაც უკვე აღარ შეიძლება? საუცხოოა, თუ გავითვითცნობიერეთ ჩვენი შეცდომა და ვცდილობთ მის გამოსწორებას, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ: ჩვენ ყოველთვის ვსწავლობთ ცხოვრებას.

4. თავს ნუ დაიდანაშაულებ, თუ ვერ შეძელი დანაპირების შესრულება. ყოველივე სხვა რამის გარდა, ცხოვრებაში კარგი საქმეების შესრულებისათვის საჭიროა დრო. ზოგჯერ უფრო მეტიც, ვიდრე ვვარაუდობდით.

5. დაემშვიდობე ყოველივე ნეგატივს, რაც შარშან იყო. შეიძლება, ეს ნაბიჯი არ მიგვიყვანს რაიმე საქმის ბედნიერ დასასრულამდე, მაგრამ სავსებით შესაძლებელია გახდეს ბედნიერი დასაწყისი იმისა, რასაც საერთოდ არც ველოდებოდით.

6. დაემშვიდობე იმ ადამიანებს, რომლებსაც თქვენთვის არა სცალიათ. უმჯობესია, ყურადღება გავამახვილოთ იმათზე, ვინც ნამდვილად იმსახურებს ჩვენ სიყვარულს, ზრუნვას და მზადაა, გვიპასუხოს იმითვე.

7. შეეწყვიტოთ მოგონებებით ცხოვრება. და არა აქვს მნიშვნელობა, კარგია ეს მოგონებები თუ ცუდი – ჩვენ მათ ხელახლა დავატრიალებთ, კვლავ და კვლავ გავივლით ერთსა და იგივე სიტუაციას, ოღონდ უკვე საკუთარ თავში. ეტყობა, დადგა დრო, მივიღოთ ახალი შთაბეჭდილებები და შევწყვიტოთ წარსულით ცხოვრება.

8. დაემშვიდობე თანამედროვე დამოკიდებულებებს სხვებისადმი. ძნელია შეედავო: თანამედროვე გაჯეტებსა და ინტერნეტს ჩვენი დროის ლომის წილი მიაქვთ. რატომ არ უნდა გავსინჯოთ ახალ წელს, მაგალითად, რომ მეტი დრო გავატაროთ ბუნებაში ანდა მივუძღვნათ საკუთარი თავი მახლობლებსა და ნათესავებს?

9. ამოიგდეთ თავიდან სხვათა აზრები თქვენს შესახებ – განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც გაიძულათ, გყვარებოდათ თავი ნაკლებად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ადამიანები კარგად გვიცნობენ და ესმით ჩვენი? სხვათა შორის, ზოგიერთი ნამდვილ კმაყოფილებას განიცდის, როდესაც სხვას ამცირებს – ეს არის კიდევ ერთი საბაბი დავფიქრდეთ, ღირს კი განა გავაგრძელოთ ურთიერთობა ამგვარ პიროვნებებთან?

10. დატოვე წარსულში მოგონებები საკუთარ უგუნურ ქცევებზე. ისინი შეგვახსენებენ იმას, რომ ჩვენ არ ვართ სრულყოფილები და ვაგრძელებთ სწავლას – მათ შორის საკუთარ შეცდომებზეც.

11. ნუ მოგენატრებათ ისინი, ვინც სიყვარულითვე არ გპასუხობთ. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანის მონატრება და მასზე განცდები ნამდვილად არ ღირს, სამაგიეროდ, ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ვიღაც სხვას ვენატრებით კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვედგინა.

12. დიდად ნუ შეიწუხებთ თავს შეუსრულებელი ჩანაფიქრების გამო. იქნებ, ესაა განუხორციელებელი მოგზაურობა ან გამოტოვებული ქორწილი, ან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა – ყველაფერი ხომ გეგმის შესაბამისად არ ხდება, და არ არის საჭირო ამ დროს დანაშაულის გრძნობა. დაე, ეს იყოს შეხსენება იმის შესახებ, რომ, როგორც არ უნდა ვეცადოთ, შეუძლებელია ყველაფრის გაკონტროლება.

13. შეწყვიტე ხედავდე მხოლოდ საკუთარ ნაკლოვანებებს წარმოსახვაში. შეხედოთ საკუთარ თავს სხვა მხრიდან და ვისწავლოთ საკუთარი სხეულისა და გარეგნობის სიყვარული – ამაში ხომ წვეთიც არაა საკუთარი თავის სიყვარულისა.

14. ბოლოს და ბოლოს, დაემშვიდობე აზრს იმის შესახებ, რომ მომდევნო წელს არაფერი შეიცვლება. ისწავლე შენიშნო და გამოიყენო წარმოქმნილი შესაძლებლობანი, რათა მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება მთელი 100 პროცენტით.

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ კადრი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 9 იანვარს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– სად და რად მუშაობ?
– მძღოლი ვარ.
– რამდენი გაქვს თვეში ხელფასი?
– მილიონი დოლარი.
– რას ამბობ! სად მუშაობ?
– „ფორმულა-1“-ში.

* * *

– ამ თუთიყუშმა ლაპარაკი იცის?
– იცით რა, გაგიკვირდებათ, მაგრამ მან ახლახან თქვენზე სწორედ ეს მკითხა.

* * *

– რას ნიშნავს გამოთქმა „არც მისცე, არც აიღო?“
– ანგინასა და მენსტრუაციას ერთდროულად.

* * *

– მე შენ მიყვარხარ!
– და რამდენი გოგოსთვის გითქვამს ეს?
– ყველასთვის.
– ყველასთვის?!
– ჰო, ყველასთვის მაქვს ნათქვამი, რომ შენ მიყვარხარ.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!